სამშაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 15 (28) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოდ ...) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადებათა ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკან სტრილზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 179 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 179

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

რიგის მიმართულებით რუსებმა თავისით უკან დაიხიეს.

გერმანელები ბელგეთის ფრონტზე ოსმალებსაც იშველიებენ.

მოსკოვის სახელმწიფო თათბირის საპროტესტოდ მოსკოვში გაფიცვა დაიწყო.

დამფუძნებელ კრებას გიორგობისთვის 28-ში იწვევენ.

უკრაინის სეკრეტარიატი კვლავ თანამდებობაზე დგება.

ციმბირი ფართე ავტონომიას მოითხოვს.

გერმანეთი ელზას-ლოტარინგიის ცალკე საერცოგოთ გამოცხადებას აპირებს.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური—მოსკოვის სახელმწიფო თათბირი.
ტ. ტ.—თბილელი მიტროპოლიტი.

მ. ჯანაშვილი—კახეთში.
შ. მღვიმელი. ჩაირამა (ლექსი).

კორესპონდენცია—ქედიდან (აჭარა). ბოდბისხევიდან და ქვემო ნიქოზიდან.

## გაზეთ „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთის გამოცემისთვის აუცილებელ ხარჯების შესამჩნევლად გადიდებამ (მუშების ხელფასის ერთი ხუთად მომატებამ და გაზეთის ქაღალდის ერთი ათად გაძვირებამ) გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა აიძულა 15 მარიამობისთვიდან გაზეთს ფასი დროებით ისევ მოუმატოს და გახადოს იგი ნომერზე—15 კაპ.

16 მარიამობისთვეს, წლისთავზე გარდაცვალებისა

**დიმიტრი გრიგოლის ძის**

**გიორგიევისა**

დიდმის წმ მარინეს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დები, ძმები და დისწულები.

წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ.
1—750—1

დავით ილარიონის ძე გაბრუაშვილი და მეუღლე მისი ალექსანდრა გიორგის ასული, შვილებით ელენე, მარია, ნუნუ და ანუნი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ რომ 15 ამ თვეს დანიშნულია დაუვიწყარის

**თამარა დავითის ასულის**

წლის წირვა და პანაშვიდი წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დილის 10 საათიდან.
1—751—1

დავით გაბრუაშვილი, გიორგი და ალექსანდრე დვარეშიძენი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, პირველის ძვირფასი დედის დისშვილისა და მეორენის მამის დის-შვილის აწ გარდაცვალებულის

**ნინა ალექსის ასულის**

**ივანოვის**

ორმოცის წირვა და პანაშვიდს გარდახდან 15 ამ თვეს წმ. ნინოს ეკლესიაში დილის 10 საათზედ.
1—751—1

## თბილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ

**მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს.**

ვაკანსიები არის მხოლოდ პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში და გიმნაზიის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში. მსურველებს შეუძლიან დანარჩენ კლასებში დაიჭირონ ეგზამენები, მხოლოდ ესენი ჩაირიცხებიან კანდიდატებად. თხოვნები მიიღება 23 აგვისტომდე.
2—729—2

## თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო

აცხადებს, რომ გადასასვლელი (დამატებითი) ეგზამენები ამ სასწავლებელში

**დანიშნულია აგვისტოს 22--24-ს**

და ამ რიცხვებში უნდა გამოცხადდნენ მხოლოდ ის მოწაფეები, რომელთაც გამოცდები აქვსთ საბჭოსაგან დანიშნული.—მისაღები ეგზამენებისა და სწავლის დაწყების დრო კი ცალკე იქნება გამოცხადებული.
2—745—2

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
1—748—თ.

[illegible]
[illegible]

**კალანდარიშვილი**

[illegible]

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ზანაკში

ექიმი

**ა. ი. მაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 4. (თ.—302—)

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა ხუთშაბათისა.
ნიკოლოზის პროსპ. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—10)

ექიმი

**მ. ზ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: ღვიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკლესიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმიშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალებისა

**ე. ივ. ბაღდარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. წერეთლის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—5

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, [illegible] სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

**ე. ლ. მაღაშბერიძე**

იღებს სახლებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: მეტეხოვსკის ქუჩა № 7.

თბილისი, მარიამობისთვის 15.

## მოსკოვის სახელმწიფო თათბირი

მოსკოვის სახელმწიფო თათბირი უფრო კარგი ბედის ღირსი აღმოჩნდა, ვიდრე სტოკჰოლმის კონფერენცია და ვიდრე თვით რუსეთის დამფუძნებელი კრება: ორივე უკანასკნელი გადაიდო, როგორც პრინციპიალი ისე ტეხნიკური მოსაზრებით. მოსკოვის თათბირი კი შეიკრიბა; რუსეთის ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მტრული განწყობილება უფრო იოლი მოსავლელი ყოფილა, ვიდრე საფრანგეთისა და გერმანეთის პროლეტარიატის შეხვედრა. და მოსკოვის დიდი თეატრის მოწყობა სახელმწიფო თათბირისთვის უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე პეტროგრადის თავრიდის სასახლის რემონტი დამფუძნებელ კრებისათვის.

მოსკოვის სახელმწიფო თათბირი კერენსკის თაოსნობით არის მოწყობილი...

როცა აჯანყებულ „ბოლშევიკები“-ს დაღვრილმა სისხლმა გათიშა პეტროგრადის პროლეტარიატი და ბურჟუაზია, კერენსკიმ კოალიციურ სამინისტროს გასამაგრებლად პროვინციალურ რუსეთს დაუძახა და პეტროგრადის სახელმწიფო მეთაურობა მოსკოვს დაუთმო... ამით კერენსკის ისა სწადია, რომ მთელიან რუსეთის ეროვნულ სათათბიროს ძალა-გავლენას დაემყაროს მთავრობის მტერთა დასამარცხებლად. მთავრობას მტრობს მუშებისა და ჯარისკაცთა პროლეტარული საბჭოები და მთავრობასვე მტრობს კაპიტალისტური და მრეწველი ბურჟუაზია.

კერენსკიმ იმდენი მოახერხა, რომ ყველა კლასთა, წოდებათა, პროფესიათა და ეროვნებათა წარმომადგენლობა შეჰყარა ერთად მოსკოვის თათბირში... კერენსკი იმედოვნებდა და იმედოვნებს, რომ აქ შესძლებს ეროვნულად და კლასიურად დანაწილებულ და დანგრეულ რუსეთის შედუღებას.

ზოგისათვის კერენსკის „ძველი თვითმპყრობელობის“ რეპრესიათა საწამლავი აქვს მზად, ზოგისათვის კიდევ მქევრმეტყველურ პატრიოტიზმის წამალი...

მაგრამ დიდი თეატრის ზ ლასაც არ შეუძლია რუსეთის ახალი ეროვნული ოპერის შექმნა,—თვით ცხოვრებამ გადაამტვრია ერთი მეორეს ამ ოპერის მომქმედნი პირნი.

ამიტომ არის, რომ მემარცხენე პროლეტარიატი გაფიცვით უმასპინძლდება მოსკოვის თათბირის გახსნას... პეტროგრადის „ბოლშევიკთა“ როლი ახლა მოსკოვს უკისრია.

მემარჯვენე ოფიცრობა და ყაზახობა კი მთავარსარდალ კორნილოვს უფრო და უფრო აქეზებს და აშკარად უპირდაპირებს გენერალის სამხედრო ავტორიტეტს მოქალაქე მინისტრს.

შერიგება ამ ორი მიმართულებისა შეუძლებელია:—ერთმა უნდა მეორე დასჯაბნოს. და ყველა ნიშნები იმას ამბობს, რომ მოსკოვის თათბირიდან მემარჯვენენი გამოვლენ გამარჯვებულნი. და ამ გამარჯვების პირველი საქმე მუშათა და ჯარისკაცთა „ოპეკის“ გაუქმება იქნება.

ამ ფაქტს შეიძლება ახალი არეულობა მოჰყვეს, რომელშიაც პეტროგრადის გარდა მოსკოვიც ჩაერევა და სხვა ქალაქებიც—მაშინ განმეორდება პეტროგრადის ივლისიც და მოსკოვის დეკემბერიც და სწორედ მაშინ განახლდებს გერმანეთი თავის შემოტევას... უკმაყოფილო კლასთა და ეროვნებათა აღშფოთება საუკეთესო პირობაა შემოსეულ მტრის გამარჯვებისა.

## ტფილელი მიტროპოლიტი

კვირას, 13 აგვისტოს თბილისში მოხდა არჩევნები ტფილელი მიტროპოლიტის. მიტროპოლიტად აირჩიეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპ. ლეონიდე. ამ საეკლესიო აქტს დიდი ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ქართველი საზოგადოება გულამღვრეული ადევნებდა თვალ-ყურს იმ უმსგავსო ბრძოლას, რომელსაც ეწევა რუსეთის მპყრობელი ეკლესიის სინოდი ივერიის ეკლესიის კანონიურ და სამართლიან მოთხოვნილებათა წინააღმდეგ.

რუსეთის სინოდი, რომელიც გამოზრდილია თავის ბიუროკრატიულ ჭაობში და დაოსტატებული თვითმპყრობელობის დამქაშობაში ისეთ უცნაურ რამეებს იგონებდა, ქართულ ეკლესიის დასაჩაგრავად და აბუჩად ასაგდებად, რომ აღშფოთება გამოიწვია და ქართული ეკლესიის ბედზე ალაპარაკა ქართველი სოციალისტებიც, რომელნიც უწინ ხმასაც არ იღებდნენ ეკლესიის შევიწროებაზე. დროებით მთავრობის მიერ ამას წინად გამოცემული კანონი ძირიანად სცვლიდა ქართულ ეკლესიის ტრადიციებს, მისი მიღება სიკვდილი იქნებოდა ავტოკეფალურ ეკლესიისთვის. ამ კანონის ძალით ტფილისის მიტროპოლიტის წოდება მიჩნეული უნდა ჰქონოდა რუსის ეგზარხოსს, ქართველ კათალიკოსს საცხოვრებელ და სამოღვაწეო ადგილად უნდა მ ჩენოდა მცხეთა.

ქართული ეროვნული შეგნება ვერასოდეს ვერ შეურიგდება, რომ ტფილისი თავი არ იყოს საქართველოსი.

ამ ნიშნის ქვეშ მიდის დღეს ყველგან ბრძოლა, და დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს თვითშეგნებისათვის, რომ ქართველმა სამღვდელოებამ გამოიჩინა ინიციატივა და გამბედაობა, რომ ძირში ჩაეკლა ის მოსალოდნელი უბედურება, რომლის გამოწვევა შეეძლო ამ შემთხვევაში დათმობას.

ტფილელი მიტროპოლიტის არსებობა დღეს ფაქტია და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთის საეკლესიო კრებამ, რომელიც დღეს იხსნება მოსკოვში.

ტფილისში უკვე ფეხი მოკიდებული აქვს ყოველ მათ ინტრიგას, ერთ ქალაქში ორი მიტროპოლიტი არ შეიძლება იყოსო.

ქართველ სამღვდელოებას ახლო წარსულში დიდი დანაშაული მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. ის დიდხანს იყო გაჩუმებული და ხმას არ იღებდა, როცა ქართული ეკლესიის უფლებები ძველი მთავრობის მიერ უკანონოდ იყო გათელილი, ახალი მთავრობაც მოელოდა ალბათ, რომ ქართველი სამღვდელოება არ იყო შეგნებული და ჯეროვნად ვერ დაიცავდა თავის უფლებებს. სხვაფრივ რ შეიძლება ახსნა მისი მოქმედების, მაგრამ ის მოსტყუვდა.

ქართულ ეკლესიას თავის უფლებისთვის ბრძოლის მაგარი ნიადაგი აღმოაჩნდა, ქართული სამღვდელოება უკან ვერ დაიხევს.

სამღვდელოებამ იცის, რომ სამართლიან ბრძოლაში, იმას მხარს უჭერს ქართველი საზოგადოება მიმართულების გაურჩევლად. დროა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჩვენ ლოიალურ მოპყრობას, გაჩუმებას სისუსტეთ ნუ ახსნის.

თორემ რას გავს ეს, რომ მიუხედავად იმისა რომ მთავრობამ დაამტკიცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, ყოფილი ეგზარხოსი პლატონი კიდევ განაგრძობს ქართული ტიტულის ტარებას და ამ ტიტულით ხსნის მოსკოვში საეკლესიო კრებას?..

ქართველი ეკლესიის მოთხოვნილება სამართლიანია მუქარით არაფრის გაწყობა არ შეიძლება და დათმობით კმარა, რაც დავთმეთ...

ტ. ტ.

## მოსკოვის სახელმწიფო თათბირი

### თათბირის გახსნა.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 12. დამცველ წრესთან ხალხმა დილიდანვე დაიწყო თავის მოყრა. შუადღის პირველ საათზე მათი რიცხვი უკვე საგრძნობლად გაიზარდა. ხალხი დიდ თეატრთან მინისტრებს მხურვალე სალამით უხვდება. განსაკუთრებით მხურვალე სალამით შეეგებნენ კერენსკის. სამ საათისვის პარტერი, სცენა და ყველა იარუსების ლოჟები უკვე სავსეა თათბირში მონაწილეობისთვის განმზადებულთაგან. წითელ ქსოვილებით შემკული დარბაზი უამრავ ქაღების ნათელით ბრწყინავს. პრეზიდიუმის მაგიდა სცენაზეა მოთავსებული. პრეზიდიუმის უკან—სახელმწიფო ვებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებია. სცენის შუაგულში—ეროვნულ ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებათა, მშრომელ ინტელიგენციის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლების ადგილია.

სცენის პირველ რიგში სხედან კრაპოტკინი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, ზასულიჩი და მრავალი შლისელბურგელი. სცენის მარცხენა ნაწილში—პრესის წარმომადგენლები; პარტერის მარჯვენა ნაწილი ოთხთავ მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წევრებს უჭი-

რავთ; მათში—სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი, ხომიაკოვი და გუჩკოვი. მარცხენა ნაწილი უჭერიათ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენლებს; შუა გული გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებს; ამფითეატრი—პროფესიულ კავშირების წარმომადგენლებსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, რომლებიც პარტერში ვერ მოთავსდნენ, მეფის ლოჟაში—მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი; ლოჟებში—ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი ალექსეევი, ბრუსილოვი, დონის ყაზახთა ოლქის ატამანი კალედინი, კავკასიის ლაშქრის ყოფილი უფროსი იუდენიჩი, ოდესის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი მარქსი, კოოპერატივების წარმომადგენელნი, სასურსათო კომიტეტი, სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი, საბჭოთა ყრილობების, საბირჟო კომიტეტების, ერობის, ქალაქების, აღმასრულებელ კომიტეტების და შეერთებულ საზოგადო და სამხედრო ორგანიზაციებისა.

ნაშუადღევის სამ საათზე პრეზიდიუმის მაგიდისკენ მიდიან მინისტრები კერენსკის თაოსნობით. მათ ტაშით ეგებებიან. მაგიდასთან შუა ალაგს კერენსკი იჭერს; მის მარჯვნით და მარცხნით სხდებიან: ნეკრასოვი, კოკოშკინი, ნიკიტინი, ავქსენტიევი, პროკოპოვიჩი, პეშეხონოვი, კარტაშევი, ოლდენბურგი, იურენევი და ჩერნოვი.

## კერენსკის სიტყვა

**ს ა ლ ა მ ი.**

დროებითი მთავრობის დავალებით, რუსეთის უმაღლეს მთავრობის მიერ მოწვეულ თათბირს, ჩემის, როგორც დროებითი მთავრობის, მეთაურის, თავმჯდომარეობით, დაწყებულად ვაცხადებ. მთავრობის სახელით სალამს ვუძღვნი რუსეთის სახელმწიფოს აქ შეკრებილ მოქალაქეთ; მხურვალე სალამი განსაკუთრებით ჩვენ ძმებს, ჯარისკაცებს, რომელნიც დიდი ვაჟკაცობით და რაინდულ სიგმირით იცავენ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებს (ტაში).

**კრების საგანი.**

ამ დიად და საშინელ დროს, როდესაც დიდი ტანჯვას განცდით იბადება და იქმნება ახალი, თავისუფალი დიდი რუსეთი, დროებითმა მთავრობამ საერთო უთანხმოებისთვის კი არ მოგიწვიათ აქ თქვენ, დიდი რუსეთის მოქალაქენო, ვინც სამარადისოდ დაამტვრიეთ ბორკილი მონობისა, ძალადობის და თვითნებობისა; მქუხარე ტაში). არა პროგრამულ საკითხების განსახილველად, და უმეტესად არა ხელმწიფების (власть) შერყევის საცდელად, იმ ხელმწიფებისა, ვინც ხალხის ნებით და რევოლუციით დამფუძნებელ კრებამდის სუვერენულ ხელმწიფების მქონეა და დარაჯად უდგას სამშობლოს და რევოლუციით მოპოვებულ ხალხის უფლებათ,—არა ყველივე ამისთვის მოგიწოდათ თქვენ, თავისუფალ სამშობლოს შვილნო,—არამედ იმისთვის, რომ პირდაპირ ავლიაროთ, სრული სიმართლე, იმის შესახებ, თუ რა მოგველის, რას განიცდის ამ ჟამად დიადი და ტანჯული ჩვენი სამშობლო. თქვენ მოგიწვიეთ აქ, რომ ავლიაროთ ეს ჭეშმარიტება აქ ამ რუსეთის გულში. მოგიწვიეთ მისთვის, რომ შემდეგში აღარავის შეეძლოს იმის თქმა რომ მან არ იცოდა, და თავის უცოდინარობით არ იწყოს გამართლება იმ მოქმედებისა, რომელიც დაღუპვისკენ წაიყვანს რუსეთის სახელმწიფოს. (ტაში) დეე ყოველმა ჩვენგანმა იცოდეს—განაგრძობს კერენსკი, ვინც კი სცდილობდა შეიარაღებული მუშტი მიექნია სახალხო მთავრობის წინააღმდეგ, დეე იცოდენ, რომ ასეთს გამოსვლებს ბოლო მოეღებათ რკინით და სისხ- [illegible]

ტიის სხეულისა. (ხმები „ურა" მხურვალე ტაში).

**რუსეთი განსაცდელშია.**

მდგომარეობა მეტის მეტად რთულია. სახელმწიფო სიკვდილის საშინელების წუთებშია. დეე ყველამ, ვისაც კვლავ უფეთქს მოქალაქეობრივი გული, გაიგოს მნიშვნელობა ამ ერთად-ერთ ჩვენი განცხადებისა. კერენსკი შემდეგ ხსნის, რომ ყველა გრძნობს მომენტის სირთულეს მაგრამ არ ყოფნის გრძნობა და მისწრაფება, რომ მსხვერპლად შეეწირონ მდგომარეობას. თავისუფალ ნაციის შექმნა დაქსაქსულ მასსიდან და გარეშე მტერთან ბრძოლა თხოულობს მსხვერპლს, უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, თავ-განწირვას, კერძო და კლასიურ ინტერესების დავიწყებას. (ტაში) ხატავს რა რუსეთის დანგრევის და დაყოფის სურათს, კერენსკი მიუთითებს, რომ ბოლოს ყველაფერი ეს შეიმოსა საშვილიშვილო ბოროტებით აუტანელი სირცხვილით ფრონტზე, როცა ჯარის ნაწილები სამარცხვინოდ უკან იხევდნ და თავის მოვალეობას ივიწყებდენ სამშობლოსადმი არა მტრის ძალისაგან იძულებით, არამედ სულმოკლეობითა და საზიზღარი სიმფრთხალით. რუსეთის საუკეთესო შვილები დემოკრატიის დღესასწაულს, ზავის მოახლოვებას და რევოლუციის გაღრმავებას აკავშირებდენ სამხედრო გამარჯვებასთან. მაგრამ ჩვენი იმედები გაცრუვდენ და რწმენა შეგინებულ იქმნა. ყველა ეს შეტანილ იქნა ჯარში გარედან, რაც შედეგია ხალხში. დიდი განხეთქილების საკუთრებით ვცხოვრებდით რა მონობაში და ჯაჭვებში, ჩვენ დაგვავიწყდა როგორ უნდა სიყვარული და როგორ უნდა მძლავრობა. ძველი მთავრობა ყველას ბოლომდე სძულდა. მაგრამ მას ყველა ემორჩილებოდა რადგანაც მისი ეშინოდათ. დღეს-კი, როდესაც მთავრობას ხიშტები და ინტრიგები აღარ იცავს, დღეს, როდესაც მთავრობა თავის ძალას ნდობაზე, სიმართლეზე და გონიერობაზე ამყარებს, ამ მთავრობაზე გადმოაქვთ მემკვიდრეობა ხელმწიფების (власть) მიმართ უნდობლობისა და შებრძოლებისა. უწინ ვისაც ეშინოდა დღეს ისინი ზოგნი რა იარაღით ხელში იმუქრება, სხვები კი კერძო კრებებზე უნდობლობას უცხადებენ რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მთავრობას, რისთვისაც ისინი უწინ, როგორც უდიდებულესობის შეგინებისათვის ისე იქნებოდნენ გაძევნილნი მიუწვდენელ შორეულ არეში. (ტაში). მხოლოდ აქ ამ ახლილი თავდასხმისა ანუ ფარული შეთქმულობის წინაშე საზღვარი ედება ჩვენს მოთმინებას.

**რეპრესიების საჭიროება.**

ვინც-კი გადალახავს ამ საზღვარს, შეიყრება ძალას, რომელიც თავისი რეპრესიებით შეაგონებს ამ მოღალატეებს დამხობილ თვითმპყრობელობას (ტაში).

ამას ჩვენ იმიტომ კი არ მოვიქმედებთ, რომ ჩვენთვის ძვირად ღირდეს სახელი და ჩვენი საკუთარი მდგომარეობა, არამედ იმიტომ, რომ აქ ყველა ერთგვარად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ მხოლოდ ახალ მთავრობის ამ გამაერთიანებელ, მომწესრიგებელ, შემარიგებელ, დამცველ და აღმამაღლებელ ავტორიტეტშია სახელმწიფოს ხსნა დაშლისაგან და ძმათა შორის ომისაგან (ტაში). მე თქვენ შეურიგებლათ გეჩვენებით. შემცდარი ხართ, რადგანაც ჩვენ არც თქვენთანა ვართ და არც მათთან. ჩვენ უძლურნი არა ვართ.

**რუსეთის ხალხის ზნე.**

კერენსკი ფიქრობს, რომ შემოქმედებისა და მისდამი მისწრაფების არ ქონება და ურთიერთ ბრძოლა არის ძველი რეჟიმის სამკვიდრებელი. ეს რუსული სენია, რომელსაც დ დხანს [illegible]

არამედ ელის პასუხს—ჰგრძნობთ თუ არა თქვენში თავდადებას, მზათ ხართ თუ არა წესიერებისთვის, მსხვერპლისთვის და შრომისთვის?

**პაპის საზავო ნოტაზე**

კერენსკი მოაგონებს: ეს არის ეხლა განვიცადეთ საძაგელი ცდა, ჩვენდამი წინადადების შემდეგ სეპარატიულ ზავზე, მიემართათ ჩვენი მოკავშირეებისათვის ასეთივე სეპარატიული ზავის წინადადებით პაპის შუამავლობით. პაპის ნოტაში დასახელებულ მთავრობათა შორის სრულიად არ არის ნახსენები რუსეთი (ტაში). რამდენიმე თვის წინად მტრის ასეთი ცდა, ჩვენდამი მომართული, ხალხის ნებით დიდის გულძვირობით უარყოფილ იქნა. ახლა შემიძლიან სიხარულით გაუწყოთ, რომ ასეთივე გულ-ძვირობით უარყოფილ იქმნა ეს ახალი წინადადება ჩვენი მოკავშირეებისგან. ჩვენ სხვაგვარ პასუხს მათგან არც მოველოდით! (ცხარე ტაში). ყველანი ფეხზე დგებიან და ალტაცებით მიმართავენ ლოჟაში მყოფ მოკავშირეთა წარმომადგენლებს).

**ფინლიანდიისა და უკრაინის საკითხი**

დროებითი მთავრობა,—აცხადებს კერენსკი—შეასრულებს თავის ვალდებულებას, ხოლო, სადაც ბრძოლა სცილდება შესაძლებლობის საზღვარს, სადაც ჰსურთ ისარგებლონ სახელმწიფოს გაჭირებით და საეროთო ძალ-მომრეობა იხმარონ რუსეთის ხალხის ნებაზე და თავისუფლებაზე, იქ ვეტყვით: შორს ხელები! (ტაში) შემდეგ კერენსკი მწუხარებით აცხადებს: შესაძლებელია, რომ ამ დღეებში ფინლიანდია შეეცდება ისარგებლოს სახელმწიფოს გაჭირებით და ძალით შეასრულოს ის მიზნები, რომლებიც დამღუპველია სახელმწიფოსთვის, მე მოვახდენ შესაფერ განკარგულებას და ეს არ შესრულდება (ტაში). უკრაინელთა შესახებ კერენსკიმ სთქვა: დარწმუნებული ვარ, რომ გლეხთა, მუშათა და ქალაქელთა მასსა ჩვენი სისხლით ძმებისა უკრაინელებისა თავის დღეში არ წავა იმ გზით, რომელზედაც შეიძლებოდეს ითქვას: მაშ რისთვის მკოცნი, ძმავ, ვინ მოგცა შენ 30 ვერცხლი? დასასრულ კერენსკიმ სთქვა, რაც შეეხება რუსის ხალხის და ჯარის შენაძენებს, ამას ვერავინ წაგვართმევსო. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რაც შევქმენით შემთხვევითი იყო, ზოგჯერ ზერეულად ნაფიქრი და საჭირო გადახედულ იქმნენ. ეხლა კი შავი მუშაობა თეთრად უნდა შეიცვალოს და მაშინ ყველაფერი თავის ალაგას იქნება დაწყობილი. ჯარშიაც შეიგნებენ თავიანთ მოვალეობას მარტო კომანდირები კი არა, არამედ ისინიც, ვისაც ხელმძღვანელობენ. კომისრები, კომიტეტები და ფრონტის სასამართლოები დაცულ იქნება, მაგრამ ყველა მიიღებს ისეთნაირ ფორმას, რომელიც ეხლა საჭიროა ლაშქრისათვის. დროებითი მთავრობა, განაგრძობს კერენსკი, შესძლებს თავისი ხმა ისე აიმაღლოს. რომ არავინ არ იფიქროს, რომ დროებითი მთავრობის ძლიერება მხოლოდ ერთ მხარეს აშკარავდება და მეორე მხრიდან ის ყოველ მოსალოდნელისაგან თავისუფალია. თუ კი, აბოლოვებს თავის სიტყვას კერენსკი, არ გვეყოფა გონიერება და სინიდისი, თუ კი ჩვენ აგვიტაცებს დაშლისა და დანგრევის სურვილი, შეგვიპყრობს კერძო ინტერესები და პარტიათაშორისი განხეთქილება, მაშინ ვიდრე დავიღუპებოდეთ, ჩვენ ვეტყვით ქვეყანას სიმართლეს და სახსნელად მოუწოდებთ მას. ეხლა კი გაუსაზღვრელი უფლებით და რკინით გაჩნდეთ იქ, სადაც სუფევს ძალდატანება და ნგრევა, — (თათბირი დროებით სწყდება).

## ავქსენტიევის სიტყვა.

სხდომას ხსნის კერენსკი და სიტყვა შინაგან საქმეთა მინისტრ ავქსენტიევს ეძლევა, რომელიც ამბობს, რომ კერენსკის სიტყვის შემდეგ მას ცოტა დარჩა დასამატებელი. ძველი მთავრობისაგან, მემკვიდრეობად—ლაპარაკობს ავქსენტიევი, შეგვრჩა დაქსაქსვა, რომლითაც იტანჯვის რუსეთი. დროებით მთავრობის წინაშე სდგანან დიდი საკითხები ორგანიული შემოქმედებისა და დამყარებისა. საზოგადოებრივ ორგანიზაციების როლი ამ საკითხების გადაჭრაში დიდია (ტაში). რუსეთის შინაგანი მოქმედება წარმოადგენს ნგრევის პროცესს, დაქსაქსულ ძალას და სამეფოს კერძო ინტერესებისას. დროებითმა მთავრობამ საზოგადო ორგანიზაციების შეწევნით უნდა შესძლოს და კვლავ ალაგზე უნდა მოაქციოს იდეა სახელმწიფოებრივი წყობილებისა. დროებითი მთავრობა აღჭურვილია ხმობით და ძალით და ის იბრძოლებს ყოველივე ანტისახელმწიფოებრივ მოვლენების წინააღმდეგ. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თუ მთავრობა უუფლებო იქნება, მაშინ სხვა მეორე მთავრობა და ის აიღებს ხელში მმართველობას, ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების სახელით და არა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დროებითი მთავრობა გარწმუნებსთ, რომ ის ამის ნებას მისცემს მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობა გაწყდება. აუცილებელია გავაღვიძოთ სახელმწიფოებრივი იდეა ხალხში. მინისტრის მოვალეობა არის აშენებულ იქნას ადგილებზე ცხოვრება კანონზე. (ტაში) დაჩქარებით უნდა იქნას გაყვანილი ფორმა თვითმართველობისა, ძალის შეერთება ადგილებზე, თვალ-ყურის დევნა სახელმწიფო ორგანოების მოქმედებისთვის. შემდეგ სამინისტრო ეცდება დაარსოს სხვა და სხვა კუთხეებში ორგანიზაციები, მიმავალ კომისარების ინსტიტუტები, რომელნიც შეაერთებენ ცენტრს სანაპიროებთან. სიტყვის დასასრულში ავქსენტიევი მოუწოდებს ყველას დროებით მთავრობის დაცვას და მის სამსახურს. (მხურვალე ტაში).

(გაგრძელება იქნება)

# მოსკოვის თათბირი

**თათბირის სამზადისი**

**მოსკოვი.** მარ. 11. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ნიკიტინმა უკანასკნელად დაათვალიერა დიდი თეატრი, ყველაფრის მოწყობა მალე დამთავრდება. პრესის წარმომადგენელთათვის 150 ადგილია. ჩამოვიდნენ პეტროგრადის, პროვინციის და უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები. საღამოს ცალკე ჯგუფების თათბირი მოხდა. როძიანკომ მე-4-ე სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან იქონია თათბირი.

**დეპუტატთა საბჭოების ყრილობა**

**მოსკოვი.** მარიამ. 11. დეპუტატთა საბჭოების ყრილობაზე სარაიონო საბჭოების უმრავლესობა მოითხოვდა სახელმწიფო თათბირის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას. ორატორები მოითხოვდნენ თათბირის გაფიცვას. ბოლშევიკები დაჟინებით მოითხოვდნენ პროლეტარიატის მიერ პროტესტებით, გაფიცვებით და დემონსტრაციებით პროტესტის განცხადებას. მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები კი მოითხოვდნენ მონაწილეობა მიეღოთ თათბირში და არავითარი გამოსვლა თუ გაფიცვა არ [illegible]ხდინათ. უმრავლესობამ (მომხრე 3[illegible] მოწინააღმდეგე 277) კომიტეტების გუშინდელი დადგენილება მიიღო და გადასწყვიტეს თათბირში მონაწილეობა მიიღონ და გამოსვლები არ მოახდინონ.

**ბჭობა კორნილოვის მონაწილეობის შესახებ**

**პეტროგრადი.** მარიამ. 10. საღამოთი დროებით მთავრობამ უმაღლეს მთავარ-სარდლის კორნილოვის თანადასწრებით თათბირი იქონია მოსკოვის თათბირში კორნილოვის მონაწილეობის შესახებ. ითათბირეს აგრეთვე იმ მოხსენების შესახებ რომლის წარდგენასაც კორნილოვი აპირებს. გადასწყდა, რომ უმაღლესი მთავარ-სარდალი გააცნობს მოსკოვის თათბირს თავის მოსაზრებას იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა მიღებულ იქმნას ლაშქრის გასამხნევებლად. იგი აღნიშნავს იმ მახლობელ კონკრეტულ მიზნებს, რომლებიც უნდა განხორციელებულ იქმნენ ლაშქრის მოსაწესრიგებლად და რაზედაც მთავრობა მას უკვე პრინციპიალურად დასთანხმდა. ღამის პირველ საათზე კორნილოვი სწრაფი მატარებლით ბანაკისკენ გაემგზავრა.

**თათბირის უკანასკნელ მოხაზულობის დამტკიცება**

**პეტროგრადი.** მარ. 11. დროებით მთავრობამ შეიმუშავა უკანასკნელი მოხაზულობა მოსკოვის თათბირისა, მოისმინა და განსაჯა იმ დეკლარაციების ძირითადი თეზისები, რომელთაც მთავრობის წევრები წარადგენენ. შემდეგ ყურადღება მიაპყრა იმ ხმებს, რომ ვითომც პეტროგრადსა და მოსკოვში თათბირის დღეს გამოსვლებს აპირებდნენ. მსჯელობით გამოირკვა, რომ მთავრობამ დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციოს ხმებს, მაგრამ მაინც ყოველ შემთხვევისთვის გადასწყვიტეს, რომ მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი მოსკოვში დარჩეს მარიამობისთვის 12-მდე და კვირა დილით იგი პეტროგრადს დაბრუნდეს.

# რევოლუცია

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

**ახალი განყოფილება საეროვნო საკითხებზე.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 10. შინაგან სამინისტროსთან არსდება განყოფილება საეროვნო საკითხებისა, რომელსაც უხელმძღვანელებს მინისტრის ამხანაგი გურევიჩი.

## საგუბერნიო კომისრების ყრილობაზე

**პეტროგრადი.** საგუბერნიო კომისრების ყრილობას ბეჭვდითი საქმეთა პალატის დირექტორმა ვენგეროვმა პალატის მოქმედება გააცნო და ურჩია, რომ საგუბერნიო კომისრებს შემოეღოთ ადგილობრივ ბეჭვდითი ნაწარმოების რეგისტრაცია კულტურულ-განმანათლებელ ღირებულებათა ანგარიშის გასაწევად და მათ დასაცველად. დადგენილია, კომისართან იყოლიონ საგანგებო პირი, რომელსაც დაევალება თვალ-ყურის ჭერა გამომცემლობებზე, სტამბებზე და წიგნების მაღაზიებზე, მდიდარ არქივების დაცვა და სხვა ამგვარი.

## სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა ყრილობა

**პეტროგრადი.** სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა ყრილობამ დაადგინა: იარსებოს კვლავ ერთის წლით კოლეგიურ ნიადაგზე შემდგარ სამოსწავლო ოლქების გამგეობამ; საოლქო გამგეობებთან დაარსდეს საგანგებო კომიტეტები. გაუქმდა საოლქო და სახალხო სკოლათა ინსპექტორების ინსტიტუტი. მიღებულია გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების და აგრეთვე უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოთა ავტონომიის საერთო პრინციპები. დადგენილია საბჭოში იმონაწილონ: თვითმართველობის 2 წარმომადგენელმა და აგრეთვე 2 წარმომადგენელმა მშობელთა კომიტეტებისაგან.

## დამფუძნებელ კრების მოწვევის დრო

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 9 (დაგვიანებულია). დროებით მთავრობის დადგენილება. სურდა რა დროებით მთავრობას, რომ რაც შეიძლებოდა მალე ყოფილიყო მოწვეული დამფუძნებელი კრება, მისი არჩევნები ენკენისთვის 17-თვის დანიშნა. ამასთან მთელი სიძნელე საამომრჩევლო სიების შედგენისა ქალაქის თვითმართველობათ და ახლად შემდგარ სოფლის საზოგადოებათა ერობას უნდა დასწოლოდა. ამ დიდ შრომას ადგილობრივი დაწესებულებანი დიდი ხანიც მოუნდებოდნენ. ეხლა, დროებითი მთავრობა უფარდებს რა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საამომრჩევლო უფლების ნიადაგზე ადგილობრივ დაწესებულებათა შედგენის დროს,—დამფუძნებელ კრების არჩევნების დღეთ 1917 წლის გიორგობისთვის 12 ნიშნავს, ხოლო მის მოსაწვევ დღეთ—1917 წლის გიორგობისთვის 28-ს.

მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი.
იუსტიციის მინისტრი ზარუდნი.
1917 წ. მარიამობისთვის 9.

## საზოგადო მოღვაწეთა თათბირის რეზოლიუცია

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 10. (მატარებლის დროს დაგვიანებულია). საზოგადო მოღვაწეთა თათბირმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:—„რევოლუციის შენაძენი სერიოზულ განსაცდელშია. ხალხის ორგანიზმის ყოველივე ნაწილი ღრმათ ირღვევა. რუსეთში აღარ არის ხელმწიფება, სასამართლო და კანონი. სამეურნეო ცხოვრება დიდათ შეფერხებულია, მრეწველობა გაქრა, საქონლების გადატან გადმოტანა შეჩერებულია. სასტიკ [illegible] დროს რამდენიმე ერი სცდილობს რუსეთიდან ჩამოშორებას. მთავრობამ თავი უნდა დაანებოს უტოპიას. დაე გამტკიცდეს ჯარში დისციპლინა, დაე აღორძინდეს ეროვნულ ინტერესების შეგნება და ნდობა მოკავშირეებისადმი. დაე ცენტრალმა მთავრობამ, ერთიანმა და ძლიერმა ბოლო მოუღოს კოლეგიურ დაწესებულებათა უპასუხისმგებლო ბრძანებლობას სახელმწიფოს გამგეობაში. მიეცეს საშუალება დამფუძნებელ კრებას შეიმუშაოს სახელმწიფოებრიობის დებულებანი. მანამდე კი არც ერთს ნაწილს რუსეთის ხალხისას ნება არ ჰქონდეს მთელი ხალხის სახელით ლაპარაკობდეს. 300 წლის წინად, შინაური არეულობის დროს მოსკოვში მოვიდნენ ქვემოური რუსის ხალხის შვილები და მათ მიეგება რუსეთის გული. დღეს კი ჩვენ თვითონ მოგმართავთ: მიეცით რუსეთს საშუალება გახდეს ბედნიერი და დიდებული, მიეცით თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს კეთილი მაგალითი.

# ეროვნული საკითხი

## ციმბირის ავტონომია

**ტომსკი.** მარიამობისთვის 11. ციმბირის საოლქო ბჭობამ ციმბირის ფართო ავტონომია მოითხოვა.

# უკრაინა და რუსე

**ვინნიჩენკოს საუბრის დამახ**

[illegible]. მარიამობისთვის 10. [illegible]ნის მთავარ სეკრეტარიატის თავ მარე ვინნიჩენკომ დეპეშა გა დროებით მთავრობას. იგი გად უარჰყოფს იმ აზრებს და სიტყვებ მელთაცემას ფრანგულ გაზეთ „ სიჟან"-ის კორესპონდენტი მიაწ აცხადებს, რომ მას არ უთქვამს შეეძლო ეთქვა რამე იმ გე ფილურ აზროვნება-მიმდინარე რომელიც ვითომ ცენტრალ რ არსებობს. ვინნიჩენკო სწერს, ამის დამტკიცება ფრანგულ „ვიქტუარ"-ის კორესპონდენტს ძლია, რადგან ამდღეებში იგი იმყოფებოდა და მასთან ს ჰქონდა. ვინნიჩენკოს აზრით, ნ რაკოვის დამახინჯება ან ბორო ზრახვას, ან და რუსულ ენის უ ნარობას უნდა მიეწეროს. ცენ რადის კომიტეტი მოწმობს, რ დაში არავითარ გერმანოფილურ ვნებას ადგილი არა აქვს და ლებული ხმები მხოლოდ მ სიცრუეა და ცილისწამება არი

**უკრაინის გენერალურ სეკრე ტის მოხსენება**

**კიევი.** მარიამობისთვის 10. მ რა მოხსენება უკრაინის ცენტრა დის გენერალურ სეკრეტარ დროებით მთავრობასთან მოლ კებაზე გენერალურ სეკრეტარ დაარსების შესახებ და დრ მთავრობის მიერ ინსტრუქციის ცემის თაობაზე, უკრაინის ცენტ რადამ აღიარა, რომ ინსტრუქცი კარნახდება უნდობლობით უკ დემოკრატიის მისწრაფებისადმ ქდენთილია რუსეთის ბურჟ იმპერიალისტური ტენდენციებ არღვევს 3 მარიამობისთვის ხმებას უკრაინის ცენტრალ და დროებით მთავრობის შუა.

მდგომარეობის გასამტკიცებლ რევოლუციის გასაღრმავებლათ ნაში ცენტრალი რადა საჭიროდ ს —მიეცეს ცენტრალ რადას უ რომ 14 გენერალურ სეკრეტ მის მიერ არჩეული იქნეს 9, აღნიშნულია ინსტრუქციაში, რო დროებით მთავრობას წარედგი სამტკიცებლად.

მიენდოს რადის კომიტეტს შ ვოს ცენტრალ რადის და სეკრეტ დამოკიდებულების სტატუტი; მ გენერალურ სეკრეტარიატს შეი კანონპროექტი ხალხის მოთხო ბათა დასაკმაყოფილებლი. სახელ —მუშათა, მიწის, სასურსათო ხალხო განათლების საკითხებ ხებ. აღიძრას დროებით მთა წინაშე ომის, ზავის და სიკვ დასჯის შესახებ საკითხები. დაიწყოს სამზადი მუშაობა უ დამფუძნებელ კრების მოწვევ და აგრეთვე რუსეთის დამფუძ კრებისათვის. მიმართონ უკ ყველა ერებს ინსტრუქციის ნაკ ბის შესახებ და ეთხოვოს მათ გარშემო შემოიკრიბონ.

**უკრაინის სეკრეტარიატ**

**კიევი.** მარიამობისთვის 12. რადის დახურულ სხდომაზე ლ იყო საგენერალო სეკრეტარიატ დადგომაზე. უკრაინის ს.-დ ტებმა და არა უკრაინელ დე ტიის წარმომადგენლებმა გად აზრი არ მიიღონ გადადგომა. ჩენკომ დანარჩენების სახელით ცხადა, რომ მათ უკან მიაქვთ დგომის განცხადება.

# ფინლიანდია და რუ

**ბურგომისტრის გადადგომ**

**ჰელსინგფორსი.** მარ. 11. ჰ ის ბურგომისტრი მეთანამდებე ვი და თანამდებობიდან გადად დადგომის საბაბად იგი ქალაქ რიკის დამყარების შეუძლებ იდებს.

**სოციალისტები უკიდურეს მ ბათა წინააღმდეგ**

**აბო.** მარ. 11. რაუმეს მაგალ მებრ აბოში, წინააღმდეგ სოც ტების უკიდურეს მოქმედებათ ლებისა და წესრიგის დაცვ კავშირი შესდგა.

**სეიმის მოწვევის გარშემ**

**აბო.** მარიამ. 11. აქაურ პარ ლიდერებს სეიმის თავისნებობ ვევა არა სწამთ და სოციალი ქცევა მავნედ მიაჩნიათ.

**წინასწარი კომპანიის დაწყ**

**აბო.** მარ. 11. დაიწყო წინ კომპანია. პარტიების მოთავე სჯერათ, რომ შეიძლებოდეს თვითნებობით მოწვევა და მაგ სთვლიან სოციალისტების ტაქ

# ომი და ზავი

## დეპეშები

### რუსეთის ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 12. ოფიციალური. **დასავლეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ფრონტი.** კეძი ვაზარგელის მიმართულებით რუმინელთა ჯარმა გროზესჩის ჩრდილოეთით და სოვეჯას ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში რამდენიმე იერიში მოიგერიეს. ბუზეუსის მიმართულებით ჩუმინწიან მტერს სოფ. კრინდმინთან მოჰქონდა იერიშები. მტერმა ჩვენი თხრილების დაჭერა შესძლო, მაგრამ მალე ისევ დავაცლევინეთ.

**კავკასიის ფრონტი.** ქალაქ უშნუეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლიდან მტერი გავდევნეთ.

### გერმანელების იერიშები ფოკშანის ჩრდილოეთით.

**მოქმედი ლაშქარი.** მარიამობისთვის 10. გუშინ საღამოთი ადრე ფოკშანის რკინის გზისა და მდ. სერეტის შუა ასპარეზზე გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გაამძაფრეს. ქვეითი ჯარის იერიში მოვიგერიეთ. ტყვე ოფიცრების ნაამბობით, ფოკშანის ჩრდილოეთით იერიშების მარცხმა და ზარალმა მათ ამ მნიშვნელოვან გზით ფრონტის გარღვევის იმედი დაკარგვინა და სულიერად დასცა.

### გერმანელების მზადება.

**ბერდიჩევი.** მარიამობისთვის 11. ამ უკანასკნელ დღეებში მტერი დიდ მოქმედებას იჩენს. იგი ფრონტის სამხრეთ-დასავლეთისკენ აგროვებს ძალას. ბროდის მიმართულებით სროლაა.

**პეტროგრადი,** მარიამობისთვის 12. ოფიციალური. **დასავლეთის ფრონტი.** ბარანოვიჩის მიმართულებით, განსაკუთრებით კი სოფ. ლაბუზის რაიონში მტრის არტილერია ჩვენ თხრილებს უშენდა. ოგინის არხთან გამძაფრებულ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტრის ერთი ბატალიონამდე ჯარმა მარტინოვკის რაიონში თხრილების დაჭერა შესძლო, მაგრამ კონტრ-იერიშით მდგომარეობა აღვადგინეთ. ზბრუჩის შესართავთან ჩვენ მზვერავებმა 10 ავსტრიელი დაატყვევეს.

**რუმინეთის ფრონტი.** ოკნინის მიმართულებით რუმინელებმა მტრის უმნიშვნელო იერიშები მოიგერიეს. დანარჩენ ფრონტი უცვლელადაა.

**კავკასიის ფრონტი.** გიუმიშხანეს სამხრეთ-დასავლეთით პოდისაულის კალტილის წინამძღოლობით ჩვენი მზვერავთა რაზმი ოსმალთა ზურგში შეიჭრა. გარს შემოერტყა 4 მიწურს, დაუშინა ყუმბარები, დაანგრია მიწურები და 30 ოსმალო ამოწყვიტა. მზვერავები მისცვივდნენ მათ საიმედო პუნქტს ამოწყვიტეს მრავალი და დანარჩენიც გაჰფანტეს, ამასთან უმცროსი პოდისაული კოლტილ-სტრელეცკი, პრაპორშჩიკი ივანჩენკო და ჯარისკაცი მალი ეცვივნენ ტყვიის მფრქვევს [illegible] ამოწყვიტეს. დაბრუნებისას მათ გაჰფანტეს ოსმალთა მზვერავები, ააფეთქეს ორალგას ჩაწყობილი წამალი, გადმოჰკრეს მართულის ხლართები და თავიანთ დაჭრილებით და ტყვიის მფრქვეველით თხრილებს დაუბრუნდნენ. კალკიტჩაის ღელეში ჩვენ მზვერავთა რაზმმა ოსმალთა როტაზე მიიტანა იერიში, ისინი ხიშტებით ბრძოლას ვერ დაუდგნენ და გაიქცნენ. უშნუეს ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა ლალუმბერ ულუვის ხაზით შეუტიეს, მტერი შეავიწროეს და გევერდეგის რაიონში სიმაღლეები დაიჭირეს. მტერი შეკავის გზით იხევს.

**მფრინავთა მოქმედება.** სმორგონის სამხრეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

### რიგა-დვინის ფრონტი.

**მოქმედი ლაშქარი,** მარიამობისთვის 11. რიგის ფრონტზე და აგრეთვე დვინსკის გზით დიდი საარტილერიო ბრძოლა დაიწყო. ტყვეების სიტყვით გერმანელებს განკარგულება მიუღიათ რიგა-დვინის ფრონტზე საერთო შემოტევა დაიწყონ.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 13. ოფიციალური ცნობა. ბარანოვიჩის მიმართულებით მტრის არტილერია მხნედ მოქმედობს. ვლადიმირო-ვოლინის მიმართულებით ღამით მტერმა იერიში მიიტანა, მაგრამ ჩვენ მიერ შეჩერებულ იქმნა.

ჩვენი მფრინავები მტრის ხაზებს ყუმბარებს უშენდენ.

**რუმინეთის ფრონტი.** ქალაქ სერეტის სამხრეთ-დასავლეთით მტერი იერიშზე გადმოვიდა და ხელთ იგდო ნაწილი ჩვენის სანგრებისა. კედზავაზარგელკოს მიმართულებით მტერს იერიშები მოაქვს.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენი ჯარი ქალაქ [illegible] მიმართულებით მტერს სდევნის.

### საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

**პარიზი.** მარიამობისთვის 11. ოფიციალური. შამპანში ჩვენი არტილერია მტრის სიმაგრეებს მარჯვედ უშენს. სუენის უბანში ჩვენი მზვერავები შეიჭრნენ. მაასის მხარეზე ჩვენებმა „304" სიმაღლე და მის აღმოსავლეთით კომარის ტყე დაიჭირეს. საერთოდ ჩვენ 3 კილომეტრით წინ წავიწიეთ.

**პარიზი.** მარიამობისთვის 12. ოფიციალური. დიკხოოტეს რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. სენ-კანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენები გერმანელების თხრილებში შეიჭრნენ და 131 ტყვე წამოიყვანეს. მაასის მარცხენა მხარეზე მთელ დღის განმავლობაში 450 ტყვე წამოვიყვანეთ. წუხელ ბეზანლანჟასა და სერნის რაიონებში, ლაფუს მიმართულებით საარტილერიო ბრძოლა იყო.

### ინგლისის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი.** მარიამობისთვის 10. ოფიციალური. წუხელ ლანსის სამხრეთ-დასავლეთისკენ წავიწიეთ. იპრის ფრონტზე ლანგემარკის აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** საამირბარო იუწყება: მარიამობისთვის 9-ში ბრიტანელი ჰაეროპლანები ზეებრიუგეს სანაპირო ბატარეებს და მიწის ყორეს ყუმბარებს უშენდენ. მათვე გისტოლში იერიში მიიტანეს ჰაეროდრომზე ცეცხლი გააჩინეს და მფრინავები მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

**ლონდონი.** მარიამობისთვის 12. იპრ-მენენის გზასთან გერმანელების ახალ ძალამ ჩვენი მოწინავეები უკან დასწიეს. ინვერნესსა და გლენკორსის ტყეში გაცხარებული ბრძოლაა. ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედებდა. სენ-კვენტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების ერთი ჰაეროპლანი, ერთიც დააზიანეს. ჩვენ 3 ჰაეროპლანი გვაკლია.

### ტყვეების რიცხვი

**ლონდონი.** მარიამობისთვის 12. სამხედრო სამინისტრო იუწყება: მარტის 27—მარიამობისთვის 9-მდის 167.780 ტყვე ჩავიგდეთ ხელში. ომის დაწყებიდან სულ 102.208 გერმანელი ტყვე. ჩვენები ტყვედ წაყვანილნი, დაახლოვებით 56.900-მდე კაცი იქნება.

**ლონდონი.** მარიამობისთვის 12. ოფიციალური. ლანსის დასავლეთით გერმანელთა თხრილების ერთი ნაწილი დავიჭირეთ. ჩვენ ხელშია აგრეთვე ლამბორძიუდეს მიდამოები. ჩვენ თავს დავესხით აგრეთვე ოსმალების თხრილებს. მათ შორის დეზერტირობამ იჩინა თავი.

### იტალიის ბანაკის ცნობა.

**რომი.** მარიამობისთვის 11. ოფიციალური. ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ჩვენ ახალი ასპარეზები დავიჭირეთ და მტრის იერიშები მოვიგერიეთ. წამოვიყვანეთ 500 მეტი ტყვე ოფიცერი და 20.000 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 60 დიდი ზარბაზანი, მრავალი ყუმბარის მტყორცნელი, ტყვიის მფრქვეველი და სამხედრო მასალა.

### ინგლისელთა დაღუპულ გემების რიცხვი

**ლონდონი.** მარიამობისთვის 10. კვირის განმავლობაში ბრიტანეთის ნავთსადგურებში მოვიდა 2837 გემი, წავიდა 2756. ამათში მტრის წყალქვეშა ნავებმა დაღუპა მხოლოდ 18 გემი და დააზიანა 12.

### საფრანგეთის დაღუპულ გემების რიცხვი

**პარიზი.** მარიამობისთვის 9. კვირის განმავლობაში საფრანგეთის ნავთსადგურებში მოვიდა 1063 გემი, წავიდა 1012 გემი. დაღუპულ იქნა 9 გემი, ხოლო 3 დაზიანებული.

### არაბეთის ამბები

**ლონდონი.** მარიამობისთვის 10. სამხედრო მინისტრი იუწყება: ჰეჯაზის მეფის ჯარებმა დაამარცხეს ოსმალნი, მოჰკლეს 700, ამდენივე ტყვედ წამოიყვანეს და 14 ზარბაზანი წაართვეს. მექქის შერიფისაგან დაწყებული მოძრაობა ეტყობა გავრცელდა მთელ ჰეჯაზზე და კვლავაც ვრცელდება მის დასავლეთით.

### შვედეთის საგარეო პოლიტიკა.

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 9. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინდმანმა წარმოსთქვა საჯარო სიტყვა შვედეთის საგარეო პოლიტიკის მიზნებზე და საკითხებზე. ნეიტრალი ქვეყნები ნაკლებ არ არიან მოწადინებულნი ზავის ჩამოგდებაზე, რომელიც დაიხსნიდა კაცობრიობას ომისაგან გამოწვეულ ტანჯვათაგან. ძნელია გამოვიცნოთ, როდის დადგება ზავის სანატრელი წუთი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იგი უფრო ახლოა ვიდრე ზოგიერთთ ჰგონიათ, მაშინ უნდა დავიცვათ ინტერესები ნეიტრალ ქვეყნებისაც. დასასრულ, მინისტრმა გამოსთქვა იმედი, რომ ყველა სახელმწიფონი მოწადინებულნი არიან ისეთი ზავი ჩამოაგდონ, რომ ადვილი აღარ იყოს დავი-დარაბის აშლა ერებს შორის.

## ჩაირამა

მელასავით გატვრინილო,
კუდ-ქიცინავ, ჩაირამა,
მადლი ჩემ წილ ბედს და იღბალს
ადრე მოკვდი კაირამა.
შვილისავით მოვლილ ვენახს,
თავს რომ დაპროწიალებდი,
თუ ეგ საქმე არ მოგვსვლოდა—
სულ მალად გამიტიალებდი.
რომ მიგიხვდი ეშმაკობას,
გატვრინდი და გაიმელ,
ნიშნად გულის ტკივილისა
თვალი ცრემლით დაისველე.
ახლა სხვაფრივ მოგიარე,
ყელს შეგაბი დიდი კეტი,
ვერაფერი დაგიგვარე,
გამოდექი მეტის მეტი!
ფეხ-აკრეფით ვენახისკენ
კიდევ გაიპარებოდი,
თავს კი ისე მაჩვენებდი—
არსად დაიკარგებოდი.
მაგრამ ჩუმად ყურძნის ჭამა
ყურძენმავე ჩაგაშხამა,
ვერაფერი ვერ გიშველა
სირბილმა და წყაროს სმამა.
კუჭმა ვეღარ აიტანა
ღორ-მუცლობით რაცა სტვირა,
გაგიძღლავენა ავკაცობა,
გაგბერა და გაგაგორა...
კბილით თეთრო, გულით შავო,
ვითომ ჩემო, ჩაირამა,
ამის მეტი რაღა მეთქმის
ადრე მოკვდი კაირამა.
თორემ სავსე ვენახ გარედ
ერთგულად რომ ტრიალებდი,
ვერაფერს ვერ გავიგებდი,
ისე გამიტიალებდი!..

**შიო მღვიმელი.**

## კონფერენცია ლონდონში.

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 10. მოკავშირეთა სოციალისტების კონფერენციაზე ლონდონში წარდგენილი იქნება ოთხი კომისიის დანიშვნა განსაკუთრებით პირველისგან—საზოგადო დეკლარაციისა, მეორისგან—ერთა ლიგის წინადადებათა ომისაგან განადგურებული ქვეყნების აღდგენაზე, მესამისგან—ეკონომიური პრობლემათა დანახარჯთა დაბრუნებაზე და მეოთხისგან—სატერიტორიო ცვლილებებზე. თავმჯდომარედ იქნება ჰენდერსონი. მოელიან წარმომადგენლებს ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან. სხდომები საჯარო არ იქნება. სამშაბათს შრომის პარტია უმართავს სადილს.

## დასჯა დიპლომატების შეურაცყოფისათვის.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 9. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) მოქმედებაში შესული სისხლის სამართლის დებულება შევსებულ იქმნას შემდეგი მუხლით: „მეგობრულ სახელმწიფოს, მის უმაღლეს მეთაურის, მის მთავრობის ელჩის, წარმომადგენლის ანდა სხვანაირ დიპლომატიურ აგენტის შეურაცხყოფელი, როგორც მოქმედებით, სიტყვით, ბეჭდვითი სიტყვით, წერილით თუ ხატვით ისჯება სამი წლით ციხეში ან და სატუსაღოში ჯდომით. 2) გაუქმდეს სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების 261 მუხლი.

### სამხედრო ტყვეთა გაქცევის წინააღმდეგ

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 9. სამხედრო ტყვეების გაქცევა დღითი დღე მატულობს. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს ყველა იმ დაწესებულებათ, ვინც ტყვეებს ამუშავებს, რომ თუ გაქცევა კიდევ გამეორდება, მათ ყველა მომუშავე ტყვეები ჩამოერთმევათ.

## სუხომლინოვის გასამართლება

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 10. დღეს გახსნილი სამხედრო სუხომლინოვის საქმის გამო გამოწვეულია სარევოლუციო დროთი, იგი გვაბრუნებს ჩვენ 1864 წლის სამოსამართლო წესდებათა სიწმინდისაკენ. შექმნილია იგი განსამართლებლად ყოფილ დიდებულთა, რომელთა საქმეებს წინედ არჩევდნენ წოდებათა წარმომადგენლების თანასწორებით. დამსწრე საზოგადოება მცირეა. ყარაულებად დგანან ჯარის-კაცნი პრეობრაჟენის პოლკისა და გიორგის კავალრები. პირველი საათის დასაწყისში დარბაზში შემოჰყავთ [illegible] სუხომლინოვი და მისი ცოლი. სუხომლინოვს აცვია სამხედრო ტანისამოსი, მკერდზე უკიდია გიორგის ჯვარი. ცოლი სულ შავებშია. სხდომა იხსნება დაახლოვებით პირველ საათზე. თავმჯდომარეობს სენატორი ტაგანცევი. სამსჯავროს წევრნი: მენშუტკინი, ჩებიშევი, ლოდოვი, ოროშევსკი, ბრალდებულად გამოდის ობერ-პროკურორი ნოსოვიჩი. იცავენ ზახარინი, კაზარინოვი და ტარკოვსკი. ნაფიც მსაჯულთაგან არ გამოცხადდა 7, ორს მიუღიათ ჯარიმა უკანონოდ არ მოსვლისათვის. ტაგანცევმა განუმარტა ნაფიც მსაჯულებს მათი დანიშნულება და უდიდესობა ახლ სასამართლოსი, რომელიც შექმნა რევოლუციურმა დრომაო.

### მოწმეების დაკითხვა.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 12. დღეს დაიწყო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა. მთავარ-სარდლის შტაბის ყოფილი უფროსი სამწუხარო სურათებით ხატავს ჩვენი ჯარის მდგომარეობას, რომელსაც ჯერ კიდევ ომამდე აკლდა ყველაფერი—ტყვია წამალი თუ თოფ-ზარბაზანი. მიზეზი იყო ნაკლები გამოსავლობა ჩვენი ქარხნებისა და მათ საშუალებათა. როცა ომი დაიწყო, ეს ნაკლებულობა აშკარად გამოჩნდა. ბანაკი გვავსებს ტელეგრამებით მოგვეცით ტყვია-წამალიო, მაგრამ რას მისცემდნენ, რაც არა ჰქონდათ! ვუგზავნიდნენ ტელეგრამებს სამხედრო მინისტრსაც — გაადიდეთ სახელმწიფო ქარხნების მუშაობა, მოიშველიეთ კერძო ქარხნებიო, მაგრამ სუხომლინოვი მხოლოდ გვაიმედებდა და საქმით კი არაფერს ღონობდა. შედეგები ამის გამო ერთი საშინელება იყო. ხალხი უანგარიშოთ სწყდებოდა. იყო შემთხვევები, რომ ნემცები, რაკი იცოდნენ, რომ ტყვია-წამალი გვაკლია, სულ მცირე მანძილზე სდგამდნენ ზარბაზნებს და საგანგებოდ ხვრეტდნენ ჩვენს ჯარს. სუხომლინოვის დეპარების გამო ბანაკიც ვერ მოქმედებდა დამოუკიდებლად და მხოლოდ ბოლოს, როცა სხვა გზა აღარ იყო, დანიშნულ იქმნა კომისია დიდი მთავარის სერგეი მიხეილის ძის თავმჯდომარეობით და შემდეგ საგანგებო თათბირი საზოგადო მოღვაწეთა თანადასწრებით. რაც შეეხება სუხომლინოვის დამოკიდებულობას მიასოედოვთან, მე რამდენჯერმე გავაფრთხილე სუხომლინოვი, რომ მიასოედოვს კარგი სახელი არა აქვს ჩვენში და ამიტომ არ ვარგა თქვენთვის მასთან დაახლოვებაო-მეთქი. ხოლო, როცა მიასოედოვს ღალატი დაუმტკიცეს, სუხომლინოვი მეუბნებოდა—შეცდომაში ხომ არ არის სასამართლო შესულიო. მე ვუპასუხე, რომ მიასოედოვის ღალატი უეჭველი ფაქტია. იანუშკევიჩის შემდეგ განმარტებას იძლევა სუხომლინოვი, იგი ამბობს: გერმანია ემზადებოდა ომისთვის 40 წელს, რუსეთი კი თითქმის არ ემზადებოდაო, იმიტომ მას არა ჰქონდა საკმაო ტყვია-წამალიო. ამით გათავდა დღევანდელი სხდომა.

### საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 11. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა დასრულდა საღამოს. ორივე დამნაშავემ განაცხადა: „დამნაშავე არა ვართო". სუხომლინოვმა სთქვა: „მხოლოდ ჩემმა სრულმა უდანაშაულობამ შემაძლებინა ამეტანა უკანასკნელი ორი წლის საშინელებანიო". ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი შუამდგომლობს—მისცენ მათ სათათბირო ოთახში საბრალმდებლო ოქმი, რომ კარგად გაიცნონ იგი, მაგრამ დამცველნი წინააღმდეგობას აცხადებენ, სასამართლო ეთანხმება მათ და აცხადებს 12 მარიამობისთვემდის საქმის გარჩევის გადადებას.

## ქრონიკა

### თბილისი

◆ **ქალაქის ახალმა გამგეობამ** გუშინ, მარიამობისთვის 14-ს, ჩაიბარა ძველი გამგეობისაგან ქალაქის კასა.

◆ **ა. ხატისოვის გამომშვიდობება.** ქალაქის მოურავად დიდხანს ნამყოფი ა. ი. ხატისოვი მარიამობისთვის 12-ს გამოემშვიდობა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ და კისლოვოდსკში წავიდა. გამომშვიდობება მეტად მგრძნობიარე იყო, ბ-ნი ხატისოვი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს.

◆ **ტუსაღების პროტესტი.** მეტეხის ციხეში მოთავსებულნი, სასამართლოს გარეშე დატუსაღებულნი, პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მათი საქმის გამოძიება ერთობ ჭიანურდება, საგანგებო კომისია ჯერ არც კი შესდგომია მათი მოქმედების გამოძიებას და აცხადებენ, რომ თუ კომისიამ გამოძიება არ დაიწყო მარიამობისთვის 17-ს მაინც, მარიამობისთვის 18-ს, დილით, შიმშილს გამოვაცხადებთ და საჭმელს არ მივიღებთ, სანამ ჩვენ საქმეს არ გამოიძიებენო.

◆ **თბილისის ხულიგნები.** მარიამობისთვის 12-ს, ღამით, ვიღაც ხულიგნებმა მელიქოვის ქუჩაზე გასტეხეს საფოსტო წერილების ყუთი. მთელი უბნის მცხოვრებნი იძულებული არიან წერილების ყუთში ჩასაგდებად გოლოვინის პროსპექტზე იარონ.

◆ **მეცხვარეთა თათბირი.** მარიამობისთვის 19-ს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში დაიწყება ამიერ კავკასიის მეცხვარეთა თათბირი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მატყლის ღირებულობა და მტკიცე ფასები დააწესონ მატყლზე. მატყლის დიდი ვაჭრები დიდ ენერგიას იჩენენ, რომ მატყლი იაფად ჩაიგდონ ხელში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცხვრის პატრონები მაგრად არიან და მატყლს არა ჰყიდიან იმის მოლოდინში, რომ თათბირი სამართლიან ფასებს დააწესებს მატყლზე.

◆ **ელექტრონ ენერგიაზე ზრუნვა.** საგუბერნიო კომიტეტმა გადასწყვიტა შეიმუშაოს პროექტი შესახებ იმისა, რომ თბილისში კინემატოგრაფებისა და სხვა გასართობებში შემცირდეს განათება და ამ საშუალებით დაზოგილი იყვეს ელექტრონ ენერგია სამრეწველო და საწარმოვო დაწესებულებებისათვის.

◆ **სურსათის მოტანა.** მარიამობისთვის 13-ს სასურსათო კომიტეტმა მიიღო 6 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგ. კარტოფილი. უკანასკნელ ხანებში საერთოდ ცოტა ფქვილი მოდის თბილისში. ქალაქში ამ ჟამად მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი ფქვილი იქნება.

◆ **შაქრის ძებნა.** სასურსათო კომიტეტმა გაიგო, რომ ფოთში გასასყიდი შაქარი არისო და თავისი წევრი ბ-ნი მაისურაძე გაგზავნა იქ შაქრის საყიდლად.

◆ **შეშის გაძვირების მიზეზი.** თბილისში მუდამ დღე მატულობს შეშის ფასი და ბევრნი დარწმუნებული არიან, რომ ზამთარში თბილისის ნახევარზე მეტი მცხოვრებნი უშეშოდ დარჩებიანო. ამ მოვლენის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ სხვა და სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებანი თავიანთ რწმუნებულებს გზავნიან სხვა და სხვა კუთხეში შეშის შესაძენად, რომელნიც ერთმანეთს ეცილებიან შეშის ყიდვაში და ძალაუნებურად შეშის გაძვირებას ხელს უწყობენ. ამის გამო საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს აუკრძალოს ყველა ორგანიზაციებს შეშის ყიდვა სოფლებში, ვინაიდან შეშას თითონ კომიტეტი შეიძენს და მოიტანს თბილისში ყველასათვის.

◆ **ღონისძიებანი ტრამვაის გაფუჭების წინააღმდეგ.** მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დიდი ბჭობა ჰქონდა უკანასკნელ თავისს სხდომაზე შესახებ საჭირო ღონისძიებისა ტრამვაის გაფუჭების წინააღმდეგ და დაადგინა: 1) ტრამვაის ლიანდაგები დაჰყოს 24 ნაწილად და თითო ნაწილში 2 კომისარი დააყენოს, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ წესრიგის დაცვას ვაგონებზე; 2) ყველა ვაგონებზე, გარდა №№ 5, 9 და 10, თოფიანი სალდათი იყოლიოს; 3) იმ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს, მუდამ დღე 6 თოფიანი სალდათები იყოლიოს და 4) ლიანდაგებს ერთი მეორესთან შესართავთან იყოლიოს 3 თოფიანი სალდათი.

◆ **მამულის დატაცება.** მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ გაიგო, რომ ნაძალადევში ადგილობრივი მცხოვრებნი იტაცებენ „სარევოლუციო მოედანს" სახლების ასაშენებლად. საბჭომ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას და მილიციის უფროსს განუმარტონ მცხოვრებლებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დასახელებულ მოედანს და დაარწმუნონ მცხოვრებლები, რომ ამ მოედნის მითვისება კერძო კაცთაგან შეუძლებელია.

◆ **ხევსურები სალდათებს არ აძლევიან.** ა.კ. ჩხენკელის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: ხევსურები სამხედრო ბეგრის მოხდის წინააღმდეგნი არიან, სასალდათოებს არ იძლევიან და დეზერტირებს მალავენო. პირველიცა და მეორეც ქისტებისაგან თავ-დასაცავად სჭირიათ.

◆ **მემუსიკე—ლტოლვილები.** პეტროგრადის კინემატოგრაფების, თეატრების და ყავა ხანების დახურვის გამო თბილისს აუარებელი ლტოლვილი მემუსიკენი მოაწყდა. თბილისის სოპერო საზოგადოებამ მათ დახმარება აღუთქვა შეძლების—დაგვარად.

◆ **თავის მოკვლა.** ბრონსეს ქუჩაზე მცხოვრები ქალი ლიდა გრიაზნოვა თავის მოკვლის განზრახვით მეხუთე სართულიდან გადმოვარდა, სასიკვდილოთ დაშავდა.

◆ [illegible] **სამკითხველოს.** გაზეთი „საქართველო" წლის [illegible] ძე კეჟერაძემ ვაკის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

### კავკასია

◆ **სალაშქრო საბჭოს ბრძანება.** ჯარის კაცები დღემდე ამა თუ იმ თხოვნის შესახებ პირდაპირ სალაშქრო საბჭოს მიმართავდნენ. ამის გამო საბჭოს საქმე რთულდებოდა. ახლა გამოვიდა საბჭოს ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯარის კაცებმა პირველად უნდა მიმართონ როტის, პოლკის, და კორპუსის კომიტეტებს, შემდეგ კი ეს კომიტეტები თხოვნებს სალაშქრო საბჭოში წარადგენენ.

### საქართველო

◆ **ქალაქის მოურავის არჩევა.** სიღნაღის ქალაქის ახალ საბჭოს ქალაქის მოურავად აურჩევია ერ. სირბილაძე.

◆ **ყაჩაღების თავგასულობა.** როგორც ბორჯომიდან იტყობინებიან, ბორჯომის რკინის გზაზე ყაჩაღები თავს დასცემიან „არტელშჩიკს", სასიკვდილოდ დაუჭრიათ და 23,000 მანეთი გაუტაცნიათ.

◆ **აბრეშუმის თესლის შემოწმება.** ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ თბილისსა და ერევნის გუბერნიაში დამზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი გამყიდველებმა შესამოწმებლად წარადგინონ ხოლმე თბილისის საბრეშუმო სადგურში, რადგან შეუმოწმებელი თესლი დასავლეთ საქართველოს სოფლებში ბევრგან ფუჭი გამოდგა.

### თელავი.

◆ აღმასრულებელ კომიტეტმა აკრძალა ღვინო-არყით ვაჭრობა და ყველას დაუბეჭდა დუქან-სარდაფები.

◆ საპრაპორშჩიკო სკოლის მოსწავლეებმა, ამ დღეებში დაამთავრეს სწავლა.

◆ აღმასრულებელ კომიტეტმა აკრძალა სეირნობა-ლატარიების გამართვა თელავში.

### პროვინცია.

◆ **სვანეთის კომისარი ონიანი.** როგორც იტყობინებიან, სვანეთის კომისარი ონიანი კი არ მოუკლავთ, არამედ დაუჭრიათ. დამჭრელი ქურდიანი უკვე შეიპყრეს.

◆ **კოოპერაცია სოფლად.** [illegible] ჯიხაიშში არსებობს ორი კოოპერატივი, რომელთა შორის ატეხილა უთანხმოება. მიიწვიეს ინსტრუქტორი ხუროძე და ჰაჯანძე, რომლებმაც ურჩიეს ორივე კოოპერატივს შეერთებულიყვნენ და ერთად ემოქმედნათ, რადგან არც ერთ კოოპერატივს არ ყავს საკმაო რიცხვი წევრებისა. (ერთში 160 წევრი, მეორეში 103 წ.) ინსტრუქტორების რჩევა უშედეგო გამოდგა. დღემდე კავ. მოხმარ. კავშირი ორივე კოოპერატივებს შეუწყვეტს საქონლის მიცემას.

◆ **ს. გურჯაანი.** 31 ივლისს ს. გურჯაანში შესდგა კახეთის ახლად დამფუძნებელი მევენახეთა კავშირთ-კავშირის საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც პრეზიდიუმში აირჩია ვასო მჭედლიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი და ივანე იოსების ძე ვაჩნაძე. პრეზიდიუმი მუშაობას უკვე შეუდგა, ხოლო რადგან გურჯაანში მოწყობა ჯერ-ჯერობით მოუხერხებელი იყო (როგორც მოითხოვს წესდება) ბინა დასდეს იანვრამდე ს. ველისციხეში, ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

## თბილელ მიტროპოლიტობის აღდგენა.

13 აგვისტო. ქ. თბილისში, საეპარქიო ქალთა სასწავლებლის დარბაზში ქართულ ეკლესიის თათბირზე საქართველოს ეკლესიისა და ერის კაცთა წარმომადგენლების მიერ აღდგენილ იქმნა ერთი საუკუნის წინეთ უსამართლოდ გაუქმებული თბილელ მიტროპოლიტის კათედრა, რომელზედაც აღყვანილ იქნა საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყ. დ. სამღვდელო ლეონიდე მოსაყდრის ადგილზე დატოვებით. ხალხი დიდძალი დაესწრო; ყ.-დ. სამღვდელო ლეონიდემ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღიარა სულის დიდება თუ კი ამას მოითხოვს საქართველოს ეკლესიის ინტერესები. ყოვლად სამღვდელოს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მღ. სიმონ ჰელიძემ, ტრიფონ ჯაფარიძემ, გიორგი გვაზავამ და არხიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია). მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე პ. მირიანაშვილმა. დამსწრე საზოგადოება მეტად აღფრთოვანებული და ნასიამოვნები დარჩა.

ამავე საღამოს მობრძანდა ახლად რუსეთიდან ჩამოსული ყ-დ სამღვდელო კირიონი.

* * *

ყოვლად სამღვდელოს ლეონიდეს თბილელ მიტროპოლიტად აკურთხებენ დღეს, 15 მარიამობისთვეს, სიონის საკათედრო ტაძარში.

## კახეთში

(3—10 ივლისს)

ხვნეშით გაუდგა გზას მატარებელი. მივდიოდით მშვენიერ კახეთისკენ ქართულ რკინის გზით.

გავიარეთ ვაზიანი, იორი, საგარეჯო, ბადიაური, კაჭრეთი. აქამდე იყო ჩვენი რკინის გზით სავალელი მანძილი. ჩამოვხდით და გავუდექით კაჭრეთის აღმართს. სოფელი დიდია, ანუ უკეთ ვსთქვათ, დიდი სივრცე უჭირია, ხოლო მასში მოსახლეობს მხოლოდ 150 კომლი. ყანები ბევრგან დამკილია. მიდამო უწყლოა, ხმელი, კაჭარი, რის გამო წარმომდგარა თვით სოფლის სახელიც კაჭრეთი.

— როგორი ყანები გქონდათ? ვეკითხებით ქიტოშვილს, მალხაზს, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდა კაჭრეთელს.

— მადლობა ღმერთს. მშვენიერი.

— რატომ ზოგიერთი ყანები დაუმკელი დარჩენილა?

— ვინ დამკიდა. მაგათი პატრონები მტრების „დასამკელად" წაიხვს და არავინ არის ნათესებს უპატრონოს. პატარძლები ხომ ვერ ითავებენ მამაკაცთა სამუშაოს. ნიკოლოზი რომ არ გადაეგდოთ, ეხლა მეც გამიწვევდენ და ჩემი ყანაც მოუმკელი დარჩებოდა. ჩემი ორი ძმა უკვე წაიყვანეს. სულ თვრამეტი წლისა ვარ და ჩემ ამარას დარჩენილია პატრონობა დედისა, დისა, მოვლა ოჯახისა, შემოსავლის ქირნახულისა. ვშრომობ თავდაუზოგველად.

— ბარაქალა, მაგრამ უფრო სასახელო იქნება, რომ ომში წასულ მოძმეების ყანებიც სოფლის ბიჭებმა დამკოთ საზიაროთ. შეიყარენით, შესვენით, გადამკეთ. მათი ოჯახების შიმშილი და გაჭირვება თქვენც დაგამშევთ, საქმეს გაგიჭირებთ.

— როგორ არა. განა ქვის გულისანი ვართ, რომ მაგას ვერა ვგრძნობდეთ. კვირაობითა და საღამოობით სოფლის ტოლი ბიჭები ვუნდებით სწორედ მაგ საქმეს. ვშრომობთ დაუსვენებლივ და მალე ამ თვალ-უწვდენელ მინდვრებში არ დაგვრჩება მოუმკელი ყანა, გაულეწელი ძნა. ერთურთის დახმარება, ეს ჩვენი საღმრთო მოვალეობაა. ოღონდ ახალგაზრდობას გაემარჯვოს და საქართველოს მოეფონოს, ჩვენ შრომას არ დავზოგავთ დღე-ღამ ვიმუშავებთ. მძიმე იყო შრომა წინად, როდესაც მონობის პალანკურტანი გვედო ზურგზე, ახლა კი ყველა გვემსუბუქება. ოღონდ სოფლელებს გვსურს, ჩვენი მოწინავეები შეთანხმდნენ, რომ ჩვენც ჩვენი თავი ჩვენად გვეყუდნოს.

დამაინტერესა მეკითხა, სახელი რა ერქვა ამ გონიერ ჭაბუკს. ამასობაში ავედით სოფელ ნინიანს. აქ გამოგვეთხოვა და შებრუნდა მოყვრებისას. ვავლეთ აღმართ-აღმართ. ნინიანის ზემო გავიარეთ შვენიერ „ცივ-წყაროს", რომელიც გამოდის მთის ძირში. მთელი სოფელი შეფენილია ცივ გომბორის ოღრო-ჩოღრო ფერდობზე. მალე მივედით არაშენდას. შვენიერი სახლებია, კარგი, სუფთა ორღობეები, უფრო უკეთესია სოფლის შუა ქუჩა. ყოველ გვარ ხეხილით გაშენილია აქაური ბაღ-ვენახები. სახლებიც კოხტაა. ეს არ აშენდა კი არა, ნამდვილი „აშენდაა". მთელი საზოგადოება 260 კომლოვანია. მასში შედიან აგრეთვე სოფლები დარჩიეთი და ქოდალო. ბაღ-ვენახებში იფლობა. აქვეა შვენიერი სასახლეები ნ. ანდრონიკაშვილისა, და მის მაზლების მალხაზ და გიორგი ანდრონიკაშვილისა. ამათ წინარი, რადგან მასში გვეგულებოდა ბევრი არქეოლოგიური ნივთი. საუბედუროთ, კარები გალავნისა დაკეტილი დაგვხვდა. გვითხრეს, გასაღები აქვს მღვდელს და ეს კი არაშენდაში ცხოვ[illegible] თამარ მეფეს უბოძა მთელი ეს მიდამო და ჩააბარა აქაურთა წინამძღოლობა.

იმავე დღეს ავედით ქოდალოს. ეს მდებარეობს ხსენებულ ცივ-გომბორის მთის მწვერვალზე. ვაზი აქ ვერ ხარობს, თუმცა ეს სოფელი შორავს არაშენდას ერთის ვერსით. აქ ძლიერი ციხეა, თუმცა დასკდარი აქა-იქ და ერთ ბურჯ მორღვეული. ციხეშია საყდარი, ჩვენი აქ ამოსვლის უმთავრესი მიზანი იყო სწორედ ეს საყდარებსო. ფეხით მოსიარულე—მოდალულებს მეტად გვემძიმა უკან დაბრუნება. მრავალი ბალღობა გარს გვეხვია და რამდენიმე მათგანი სალამურს უკრავდა. მივმართეთ მათ: ვის გნებავთ მიიღოთ ჯილდო და აცნობოთ ჩვენი მოსვლა ღვდელს? ყველამ უარი განაცხადა, მაგრამ მერე მცირე ყოყმანის შემდეგ ერთმა ითავა ჩვენი თხოვნის ასრულება. არაშაურიანი მიიღო და გაჰქუსცხლა.

უკვე დამდებოდა. ძალიან გვშიოდა დილიდან უჭმელებს. წყაროდან მოდიოდნენ დედაბრები და ვთხოვეთ აედუღებინათ წყალი სამჩაიეთ. ერთმა თქვა: „შვილო, სადა მაქვს მაგის თავი: ვგლოვობ ომში დაღუპულს შვილსო", მეორემ სხვა მიზეზები მოიყვანა. გავიარეთ და თვალი მოვკარით ერთ მშვენიერ გასათხოვარ ქალს. ფეხშიშველა გამოდიოდა ორღობეში. მივმართეთ: „ქალო, დაღალულ მოგზაურებს ვერ დაგვალევინებ ჩაის? ოღონდ წყალი აგვიდუღე, შაქარი და ჩაი ჩვენ გვაქვს". დაიკითხა მამას, რომელიც დიდ ნიგვზის ჩრდილში განისვენებდა. სთხოვეს, შობრძანდნენო.

ფიცხლავ მირტრიალდა ქალი, სკამი გამოგვიტანა, მამას კუნძი მოართვა, მალე ადუღდა წყალი გამოგვიტანა პური და გაგვიმასპინძლდა. მას სახელად ერქვა სირანა. მისი ბიძის სახლი გამოკეტილი იყო. კითხვაზედ: „სად არის?" მოგვიგო: ომშიაო წასული. ჩვენც აქ ღარიბად ვცხოვრობთო. ყველა ეს მიწები ეკუთვნოდაო ანდრონიკაშვილს და მისგან ძლივს შევიძინეთ ეს ერთი ბოლჩა ადგილი. მართლაც, მეტად პატარა სივრცე იყო: პაწია ეზო ქოხით და მის გვერდით ერთი საბძლის სიგძე საბოსტნე ადგილი. წიგნი ცის-მეთქი, თქვენმა სირანამ, ვკითხე, არაო, მომიგო. ამის ორმა ძმამ კარგი წიგნი იცოდნენ. იგინი დავათხოვე და ეს კი ადრე დაობლდა დედით და უსწავლელი დამრჩაო. დიდი მადლობა გადვუხადეთ შრომის შვილს და გამოვედით ციხისკენ. გაგზავნილ ბიჭიკმა მოგვიტანა ამბავი, ღვდელი სხვა სოფელშიაო და საღამოთი დაბრუნდებაო. მისმა მეუღლემ გაგხოვათ, ჩვენსა ჩამოდითო. დავემორჩილდით „უბედო ბედს". ქალმა მიგვიღო, დაგვახვანა თავის მშვენიერ სახლში. მის აივნიდამ წინ იშლება უსაზღვრო სივრცე ივრის ხეობისკენ, აგრეთვე ზეგანამდისა, საცა 1729 წელს ოსმალებმა თავი წარჰკვეთეს კახეთის მეფეს კონსტანტინეს.

მღვდელი დაბრუნდა მხოლოდ მეორე დღეს დილით და განკარგულება მოახდინა, გაეღოთ ჩვენთვის ქოდალოს საყდრის კარები და ეჩვენებინათ იქაური ხელნაწერები და სხვ. ნივთები.

აღვნიშნეთ: 1. ხელნაწერი სვინაქ ასარი, 2. ხატი წმ. გიორგისა, 3. პირი ღვთისა წარწერით: „ქ. ჩვენ კიზიკას (=კიზიყის) მოურავმა აბელიძე გიორგიმ და თანა მეცხედრემან ჩვენმან თამარ კელყავ გაკეთებად წმიდისა ამის ხატისა მოთავებისა პირველ მამის ჩვენის მოკვდილი ავაზკთაგან მოშლილი, მეორედ განვაახლე ოქროთა მოურასად, ვინათგან მეუღლე ჩვენი მიიცვალა სულისა მისისა შესანდობელად, ჩვენთვის და ძეისა ჩვენისა მელქისედეკის სადღეგრძელოდ. ამინ. მეფობასა იმამყულიხანის. გაკეთდა ქორონიკონსა ტჳდ (=1706 წ.) უსტა თამაზ ახლოვანი ღმერთიო", 4. დროშა როსტომ მეფისა, ორი მტკაველი სიგრძით, ოქროს ზუზუებითა და ჯვრით, ალმადახვეული, ტარ-მოტეხილი, წარწერით: „ქ. ნებითა: ღვთისათა: ჩუენ: ქართლისა: და: კახეთისა: ორისავე: მპყრობელმან: მეფეთ: მეფემან: პატრონმან: როსტომ: გავაკეთებინეთ: დროშა: ესე: კიზიკის სახელსა: ზედან: ზიარი: წმიდის: სტეფანესა: ჩუენად: გასამარჯვებლად: ქორონიკონსა: ტლვ" (1748 წ.).

აქვე ასვენია ელენე ვაჩნაძისა შვენიერის წარწერით. მისი დიდი სურათი ჰკიდია იქვე კედელზე და ღირს იმად, რომ გადმოტანილ იქმნას თბილისს ქართ. მუზეუმში. ფერადებით ჩინებულად გამოსახულია მთელის კახეკუნებით. იქვე ბელ ანდრონიკაშვილის საფლავის ქვაზე გრძელი წარწერაა ლექსად. ყოფილა კიდევ უშველებლად დიდი ხმალი, წმინდა ამირანისეური, მაგრამ იგი წაიღოთ ანდრონიკაშვილმა. საჭიროა მოკითხულ იქმნეს. დაამშვენებს ჩვენს მუზეუმებს.

4 ივლისს 12 საათზე გავუდექით ჭერმის გზას. უნდა გადავევლო ცივ გომბორის მწვერვალი და გადავსულიყავით შიგნით კახეთში.

გავიარეთ სოფელ ფხოველი. გვითხრეს, აქ ნავთის წყაროებიაო და მათ ამოთხრას შესდგომიაო ვიღაც ახალგაზრდა მეგრელი (სახელი არ იციოდნენ). იმედია, მალე აქაც ამოსჩქეფდება ნავთის წყაროები. დამუშავებელს უკვე იყენებენო ნავთად. შორიდგან დავინახეთ ზიარაც, რომელიც მელქისედეკ კათალიკოზმა მე-XI საუკუნეში მოუგო მცხეთის სვეტი-ცხოველს. მალე შევედით უდაბურს, დაბურულს და გადაყრუებულს უღრან ტყეში. თვალ-მიუწვდომელ სიმაღლეზე აყრილა მუხა, ნაძვ[illegible], ცაცხვი, წიფელა, იფნი და სხ. მათ შუა ადლის სიფართოვე ბილიკი მიიმართება ხან ალმა სიმაღლეზე, ხან დაღმა უფსკრულისკენ. არ გვხვდება არსად ნადირი. ამ ტყეებში ღორი სრულიად არ არისო. არ შეგვხვედრია მწყერიც, პეპლის ფარფატისთვის თვალი არ მოგვიკრავს, ხოლო არისო დათვი, შორს ქედებზე ირემი და შველი. ტყეები ეკუთვნის გარეშემო სოფლებ: ქოდალოს, ფხოველს, ზიარას, ჯიმითს, ჭერემს და სხ. ტყეებს ჰყოფენ მიუდგომელი ხრამები, ღელეები და ხევები. დამდებოდა, რომ ცხენს წარაფიდამ ავედით მაღალ სერზედ და დავინახეთ ჭერემი. ასე ვთქვათ, ასი მთა გადავატარეთ და მივადექით ჭერემს.

წინ უდევს ღრმად ჩავარდნილი ჭერმის ხევი, რომელიც აბრუნებს 30 ოდე წისქვილს. ყველა წისქვილი ეკუთვნით ჭერმელებს. სოფელი შეფენილია მთის ფერდობზე ჭერმის-ხევის მარცხენა მხარეს. რიყე სავსეა უზარ-მაზარ ლოდებითა და კონცხებით, რომელნიც მოუკორებია ამ ხევის განი ღვრების ძალას. სოფელი იფლობა ბაღ-ვენახებში. სავსეა ხეხილის ხით. ტყეებში პანტა, მაჟალო, ტყემალი, ხოლო სოფლებში ვაშლი, კაკალი, ქლიავი დატვირთულია ნაყოფით და ტოტები ემტვრევა, იმდენი ასხია. ასევეა აქაურ ბაღებშიაც, რომელნიც წინ უდევს სოფელს. დაკლაკნილი გზით ავედით მაღლა. სოფლის პირსვე შეგვხვდა უზარმაზარი სასაფლაო და მისი საყდარი. მალე მივაწიეთ სოფლის შუაგულამდე. აქ ვნახეთ ფართოდ მოგავლენებული ეზო ჭერმის საეპისკოპოსო საყდრისა, და თუმცა მეტის-მეტად დადალულ დაქანცული ვიყავით, მაინც დადალულობა არ შევიჩნიეთ სამამამთავრო საყდრის დიდებულობის წინაშე და მის დათვალიერებას შევუდექით.

მ. ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

## კორესპონდენცია

## სოფ. ქედის (აჭარა) სკოლის შესახებ

ამას წინათ ქობულეთის ნორმალურ სკოლის ზედამხედველად ნამყოფმა მუსულმანმა აბ—ოვმა ერთი დაუჯერებელი ამბავი მითხრა. მისი სიტყვით, ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა გადასდოს 25 ათასი მანეთი ქედაში **რუსულ-თათრულ** სასწავლებლის დასაარსებლად. აქვე კი არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი ქართველ მუსულმანთათვის, რომელშიც მუსულმანურ სჯულს და თურქულ ენასაც ასწავლიან იმ დროს, როდესაც ჩვენ, ქართველები, და თვით თურქები ვცდილობთ განვახორციელოთ სკოლების ნაციონალიზაცია (გაეროვნულება), ბაქოელთა ასეთი გარდაწყვეტილება—თუ კი ის ნამდვილი გამოდგა—მიგვაჩნია ისეთ მოვლენად, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დიდი შუღლი და მტრობა ორს მეზობელ ერთა შორის, რომელნიც დღემდის მეგობრობის ნიადაგზე იდგნენ...

ეს კია, რომ ბაქოელნი ნელა-ნელა ზოგიერთ ქართველ მუსულმანთა მეოხებით, რომელნიც ბრმა ვითი სიტყვით თავის ქართველობას ღალატებენ, იკიდებენ აქეთ ფეხს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებათა და სხვა უწყებაში სამსახურის სახით.

სრულიად ბუნებრივია სარწმუნოების ნიადაგზე კავშირი ქართველ-მუსულმანთა ბაქოელთა შორის,—მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს, რომ არ ითელებოდეს ქართველ მუსულმანთა ეროვნული სახე, ეროვნული სული, დედა ენა—გურჯული, მათი სისხლი და ჯიგარი...

აქ აღარ ვიტყვით იმას, რომ ქართველ ქრისტიანებს სახეში არ აქვსთ შეეხონ მოძმე მუსულმანთა სჯულს, რადგან ამისი მტკიცება დღეს წყლის ნაყვად უნდა ითვლებოდეს. თუ რომელიმე შეგნებულ ქართველ მუსულმანსა ამისი ეჭვი აქვს, ეს ეჭვი გულწრფელი არაა, არამედ დამყარებულია **სულ სხვა სულისკვეთებაზე**, რომელსაც ეროვნული სულის და სახის გათქვეფა და მოსპობა აქვს მიზნად.

ია ფერაძე.

## გოდგისხევიდან

(ქიზიყი)

აქაური გლეხობა არ იყო მიჩვეული თამბაქოს თესვას და ჩაერია ამ საქმეში მხოლოდ სულ მოკლე ხანში—რამდენიმე უკანასკნელი წლების განმავლობაში. მეზობელი სოფლები, როგორც ჯუგაანი ისე სხვ. უფრო ადრე და გაცილებით ზედმეტს თესავენ თამბაქოს, აგრეთვე სხვებზედ უკეთესად არიან დახელოვნებულნი საქმეში. ჩვენი სოფელიც წელს არა ნაკლებად შეუდგა თამბაქოს მოყვანას, თითქმის სხვებს გაასწრო კიდეც.

რაც კი გვებადა სოფლის მახლობლად წინა მხრის სახნავი მიწები სულ მთლად გადაჭარბებულ ფასებში იყო დაქირავებული მეთამბაქოეთა მიერ და თამბაქოთი დაითესა. ვინც დარჩა სოფლად მუშა ხელი, მეტი ნაწილი სამუშევრად გავიდა თამბაქოში (აგრეთვე ზედმეტი მუშა გადის ალაზან გაღმა ქიაურში) და რაოდენაც ჯამაგირებმა მაღლა აიწიეს, თვიურად კაცი ღირდა 100—300 მან., დიდმა და პატარამ მიატოვა სოფელი და ყველამ იქით მიაშურა. პურის ხვნა და თესვას მეტმა ნაწილმა ყურადღება აღარ მიაქცია. მოიხნა და დაითესა მცირე ნაწილი მიწებისა, რის გამოც შემოთებულმა მიზეზებმა, მიწისა და მუშის ნაკლებულობამ, უთესლობამ და და უამინდობამ მცირე პურის მოსავალი მოგვცა. ყანის მკაში მუშა ხელი გაძვირდა, კაცი ღირდა დღეში 6—10 მან. პატრონის ხარჯით. ძნის მოტანა და ლეწვა ხომ მამასისხლად გახდა და ამნაირს მძიმე პირობებში ყოველი ჩვენგანი, მით უმეტეს უხარო ხალხი სხვაზედ უარესად გაიჭყლიტა.

ახლა კი მიხვდნენ, რომ უპურობა დიდათ ძნელი და საშიში ყოფილა. რაც უნდა ზლომა ოქროთი და ვერცხლით შემოსილი იყოს კაცი—თუ პური საკმარისი არა აქვს—ფუჭი და უმნიშვნელოა ყოველივე მისი სიმდიდრე. უპურობამ შეაშინა, დააფაცურა ხალხი რამენაირად შეიძინოს პური სიმშილის თავიდგან ასაცდენად, მიუხედავათ იმისა, რომ თამბაქოში აღებულ ფულს სხვასაც უმატებენ და აძლევენ გაძვირებულ პურში. სასურველია მომავალში დროებით მაინც შემცირდეს ჩვენში თამბაქოს თესვა.

მე ამით ის კი არ მინდა გამოვსთქვა, რომ ჩვენი ხალხი არ უნდა შეეცადოს, რომ სხვა და სხვა დარგი მეურნეობის მხნე მოქმედებით თვისი ცხოვრება გაიუმჯობესოს, არა, პირიქით საჭიროა, რომ მეტად ეცადოს კაცი, დღევანდელზედ გაცილებით ათჯერ და ოცჯერ მეტად განავითაროს მიწათ მოქმედება. არამც თუ თამბაქო, არამედ სხვა რაც კი რამ შეიძლება ყოველივე დათესოს, მოიყვანოს; საჭიროა უკიდურესი ღონე ვიხმაროთ, რომ გავახაროთ და ავაყვავოთ ჩვენი ქიზიყი, ნაწილი ძვირფასი სამშობლო საქართველოსი, ეკონომიურად გავამაგრდეთ წელში, რათა მედგრათ დავუხვდეთ ჭირსაც და ლხინსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც უკუღმართმა ცხოვრებამ მეტის-მეტად ძნელი პირობები დაგვიყენა თვალ-წინ, ყოველიფერი გაძვირდა, წაგვართვა საუკეთესო შვილები და მუშა ხელი შეგვიმცირა და სხ., მიწათ მოქმედებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პურის ხვნა-თესვას. მაშინ კა თუ მოგვეპარება მიწა, მიგვეპარება მუშა ხელი—სხვა საქმისთვის ოთხივ გზა ხსნილია.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა აგრეთვე ვიზრუნოთ ჩვენის მებრძოლთა უპატრონოთ დატოვებულ ცოლ-შვილთათვის, რათა იგინი არ დაგვემშიონ. ყოვლად საჭიროა აქედანვე შევუდგეთ სათესლე პურის შეძენას და მის ხვნა-თესვას ძველებურად გაფართოვებულ კალაპოტში ჩაყენებას, რითაც, შემდეგში მაინც, უპურობას თავიდან ავიცდენთ და ჩვენი ქიზიყი, რომელიც პურით ნაქები იყო მუდამ,—კიდევ არ დაგვემშევდება.

ჩვენში სიმინდები ძალიან ნაკლებათ ითესება, რადგან სარწყავი წყლები არ გვაბადია.

წელს აქაური თამბაქოები არ ვარგა, რადგან გოლვამ მეტად დააზარალა—თითო დესეტინაზე პატრონს ეხარჯება არა ნაკლებ 4,000 მან., ცხადია ფასები მაღლა აიწევს ასეთი უშველებელი ხარჯების დასაფარავად.

სხვა და სხვა ბოსტნეულობის მოსავალი აქ მეტად გაძვირდა—ლიტრა ლობიო ღირს 3 მან., ნიორი თავი ერთ შაურად და სხ. ურემი შეშა ღირს 30—40 მან.

წელს საშინელი გოლვიანი ზაფხული დაგვიდგა. არ დააყარა ხეირი მინდვრებს და აგრეთვე ვენახებს. ბაღახის მოსავალიც ხომ სათქმელი არ იყო—მეტად გაძვირდა ბაღახი და ბზე, მაგრამ ჩვენდა სასირცხვილოდ დღემდე ვერავინ იდვა თავს, რომ ძველი არხებით წყალი გამოეყვანა, რათა შეძლება მოგვცემოდა გვალვის დროს მოგვერწყო ქირნახული და მოუსავლობა თავიდან აგვეცილებინა.

ამის შესახებ ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, მაგრამ ხმა-ხმად დარჩა. მგონი რომ დროა ვეცადნეთ ამ დიდი საქმის დაჩქარებას და გაკეთებას, თორემ დავიგვიანებთ, რადგან არეშის მაზრის მცხოვრებნი უკვე ცდილობენ ხელი შეგვიშალონ.

კიდევ ერთი რამ ფრიად საჭირო საქმე აქვს გასაკეთებელი ჩვენს ქიზიყს, აქაური გლეხი ბევრს ეწვალება, მუშაობს, წელზედ ფეხს იდგამს და ვინ მოსთვლის რამდენ შრომას ხარჯავს ვენახის კეთებაში.—მუდამ ანტალცებით შეჰხარის ღვინის მოსავალს, ჰფიქრობს შრომა მისი ნაყოფს გამოიღებს, გაახარებს მას, მაგრამ საუბედუროთ ხშირად შეუბრალებელი სეტყვა თავის გემოვნებაზე ამორეცხავს ვენახებს. სეტყვის მოსვლამდე ისე კარგად ესხა ჩვენს ვენახებს, რომ მტრის თვალსაც კი ეშინოდა—ყოველი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ ჭურჭელი არ მეყოფა და რაში უნდა ჩავასხათ ღვინოო. ეხლა კი შიგ შესვლა სახალისო აღარ არის.

რად ხდება ასე? იმიტომ რომ ჩვენი ხალხი ყურ-წაყრუებულია, ჩვეულება ასეთი აქვს, ხვალ-ზეგ და არა დღეს, რასაც საქმე არ ითმენს.

მაშინ გამოგვიჩნდება ხოლმე გზა—როდესაც ურემი გადაგვიბრუნდება. ნუ თუ აქნობამდე არ შეგვეძლო ზარბაზნების შეძენა სეტყვასთან საბრძოლველად? დიაღაც რომ ბევრჯელ შეგვეძლო. დღეს უკვე ბევრი ლაპარაკია ზარბაზნების შეძენაზედ და მგონი ეს საქმე აღარ დაიძინებს. უყურეთ—ჩვენს მეზობელ სოფლებს, რომელთაც დიდი ხანია შეუძენიათ ზარბაზნები როგორ ხარობენ ვენახებით. ჩვენ კი დავიგვიანეთ—რათა არ ვხედავთ მას, რომ რაც ჩვენ ზარალი მოგვდის ხოლმე, იმ ფულით, თვითეულ სოფელზე შეგვეძლო რამდენიმე ათეული ზარბაზანი შეგვეძინა.

გიორგი შიხაშვილი.

## ქვემო ნიქოზიდან

**სოფ. ქვემო ნიქოზი (გორის მაზრა).** წელს მოსავალი, როგორც ქვემო ნიქოზში ისე ახლო მახლო სოფლებში ნაკლებად მოვიდა. კოდი პური თუ სადმე იშოვება, ოთხ თუმნად იყიდება. სოფელი ახლავე სიმშილს და გაჭირვებას განიცდის, და თუ შემდეგ რა იქნება ეს ადვილი წარმოსადგენია. საჭიროა ამისთანა მოვლენას ადგილობრივმა სარაიონო სასურსათო დაწესებულებებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ახლავე პურის ყიდვაზე იზრუნონ.

გორიდან გამოგზავნილი ჯარის კაცები აქაც მოვიდნენ გამოქცეულ და დამალულ ჯარისკაცთა დასაჭერად. მათი წასვლით სოფელი მუშა ხელის ნაკლებულებას და გაჭირვებას განიცდის.

სხვაფრივ სოფელს წინსვლა ეტყობა. 20 მკათათვეს აქაურ ინტელიგენტთა ინიციატივით ადგილობრივ მცხოვრებთა კრება მოხდა. ხალხი ბლომად დაესწრო. განსახილველი იყო ბევრი საჭირო საკითხი, და სხვათა შორის, მომხმარებელ საზოგადოების, წიგნთსაცავ-სამკითხველოს და სცენის მოყვარეთა ჯგუფის ორგანიზაციის შედგენა. მეთაურთა მსჯელობა იქონიეს მათ მნიშვნელობაზე და დაარსებაზედ. მცხოვრებნი თანაგრძნობით შეხვდენ მათ წინადადებებს და უსურვეს ნათქვამი განეხორციელებინათ საქმითაც.

დაადგინეს გაიხსნას სოფ. ქვემო ნიქოზში მომხმარებელი საზოგადოება „სოფლის [illegible]". ამოირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია. თანახმად [illegible] ყველა ოჯახი [illegible] გადაიხადოს 10 მანეთი საპაიო და 1 მან. საწევრო. გამგეობა უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

კრებამ ამავე რიგად წიგნთსაცავ სამკითხველოს კომისია და დაავალა მათ ეხლავე მიიღონ თავის განკარგულებაში ყ. ს. ეპ. კირიონისეული სამკითხველო თავის წიგნსაცავით. სამკითხველოს აქვს 675 ქართულ-რუსული წიგნი და რამდენიმე ჟურნალი სხვა და სხვა დროს გამოცემული. კომისიის მოვალეობა იქნება ხელი შეუწყოს კირიონის მიერვე შეძენილ ბაღის მოვლას და შენობის მოწყობას, აგრეთვე ცხინვალიდან კორესპონდენციის მიტან-მოტანის მოწესრიგება და გამოწერა ყველა პერიოდულ გამოცემისა. ამ ჟამად სამკითხველოს ჰყავს 51 წევრი. საწევრო გადასახადი ათიშაურია. დღიდან კომისიის არჩევისა საწევრო შეიკრიბა 25 მანეთი და 50 კაპ. მხოლოდ შემოწირულება 36 მან. და 35 კაპ. სამკითხველოს სახელად ეწოდა „ს. ქვემო ნიქოზის ყ. ს. ეპ. კირიონისეული სამკითხველო".

სამკითხველოს კომისიავე მიენდო სცენის მოყვარეთა ჯგუფიდგან ორგანიზაციის შედგენა, რომელმაც უნდა შეძლებისდაგვარად სოფლებში წარმოდგენები მართოს. დავალება სამკითხველოს კომისიის მიერ შესრულებულ იქმნა და ორგანიზაციაც შედგენა. 5 ამ თვეს კომისიამ ადგილობრივ მოსწავლეთა მონაწილეობით წარმოადგინა სამ მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და „ტიმოთეს ლედგი". წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. დღიდან ორგანიზაციის შედგენისა კომისიამ მიიღო წმინდა შემოსავალი 74 მან. და 12 კაპ. შემოსავალი გადაიდვა სცენის მოსაწყობად.

აღსანიშნავია ყ. ს. ეპ. კირიონის ღვაწლი ამ სოფლისადმი. სოფ. ქვემო ნიქოზი მისი სამშობლოა, ამიტომაც, როგორც ერთგული შვილი თავის ქვეყნისა ღრმადა აქვს გამჯდარი მისი სიყვარული და არა ზოგავს მის საკეთილდღეოდ არაფერს თუ კი რამ მათის მხრივ შესაძლებელია. სამშობლო სოფელი მისთვის ერთგულს და თავდადებულს შვილს მადლობას უძღვნის უხვი შემოწირულებისა და თანაგრძნობისათვის.

დ. ხაძაგელიშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

[illegible]

(დრო ნაჩვენებია [illegible])

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 დილ. |
| " | სამგზ. | № 9, | 11.48 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 დილ. |
| " | " | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| " | სამგზ. | № 8, | 8.54 დილ. |
| " | საფ. | № 4, | 9.38 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.12 საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| " | საფ. | № 4, | 8.58 საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 დილ. |
| " | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| " | სამგზ. | № 7, | 6.12 საღ. |
| " | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფა. | საფ. | № 9***, | 8.10 დილ. |

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. [illegible].

## თავზის მრეწველნი
## ძმ. [illegible]

[illegible] ქუჩა, [illegible] სახ., № 3, [illegible] № 112.

[illegible]